● **შეშუპებითი წითელი მგლურა**-ეს არის ქრონიკული CLE- ის ვარიანტი-სველი ან ინდურირებული ერთემატოზული ელემენტები ზედაპირის შეცვლის გარეშე

● **წამალინდუცირებული წითელი მგლურა**

წითელი მგლურა – არასპეციფიკური დაავადება

● შეიძლება ასოცირდებოდეს SLE ან სხვა აუტომუნურ დაავადებასთან, მაგრამ არასპეციფიკური კანისმიერი გამოვლინებები ყველაზე ხშირად ასოცირდება SLE-სთან

● ფოტომგრძობელობა – ეს არის არანორმალური პასუხი ულტრაიისფერი გამოსხივების მიმართ, რომელიც გვხვდება SLE-ს მქონე პაციენტთა 50–93% -ში

● პირის ღრუს წყლულები-25-45%-ში

● არანაწიბუროვანი ალოპეცია– წარმოდგენს უხეში,მშრალი თმა გაზრდილი მსხვრევალობით (“lupus hair”)

ვასკულური დაავადებების ფორმები:

● **რეინოს ფენომენი** – კეროვანი წყლულობით თითების მიდამოში და პერიუნგუალურ ადგილებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაწიბურების განვითარება, სისხლდენა და ფრჩხილების სხვა გართულებები

● **ვასკულიტი** – ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი: ურტიკარული ვასკულიტი, რომელიც წარმოდგენილია პაპულებით; შეიძლება მოხდეს საშუალო ან დიდი ზომის სისხლძარღვების ვასკულიტი პურპურით, ხშირად ნეკროზებით და წყლულებით ან კანქვეშა კვანძებით

● **თრმბოემბოლიური ვასკულოპათიები** – მათ შეიძლება ჰქონდეთ ვასკულიტის მსგავსი კლინიკური პრეზენტაცია, მაგრამ სისხლძარღვის ოკლუზია გამოწვეულია სისხლის კოაგულებით

● **Livedo reticularis** – ხასიათდება ქსელისებრი მოწითალო-იისფერი რგოლებით, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოიქმნება ქვედა კიდურებზე

● **ერთრომაგალია** – ხასიათდება ფეხების და ხელების წვის შეგრძნებით და მკვეთარი ერთე-

მით; ის ასოცირდება სითბოს ზემოქმედებასთან



რეინოს ფენომენი



Livedo reticularis

დერმატომიოზიტი

● აუტომუნური დაავადებების ჰეტეროგენული ჯგუფია, რომელიც აზიანებს კანსა და კუნთებს

● კანის ნიშნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დერმატომიოზიტის დიაგნოსტიკებასა და კლასიფიცირებაში:



გოტრონის ნიშანი

– **ამიოპათიური დერმატომიოზიტი** – ეს გულისხმობს კანის ცვლილებებს კუნთების ან სხვა სისტემური დაზიანების გარეშე 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში

– **კლასიკური დერმატომიოზიტი** – ეს უფრო ხშირია და იწვევს კანისა და კუნთების დაავადებას

● დერმატომიოზიტის ორი კანისმიერი ნიშანი გვეხმარება გაავიჯნოთ იგი CLE-გან; ესენია:

– **გოტრონის პაპულები** – ეს არის მოიისფრო მკვეთრი ფლანგთაშუა სახსრებსა და ფრჩხილის მიმდებარე არეებში; ხშირად აქვთ თეთრი ან ატროფიული ჩახნეკილი ცენტრი

– **გოტრონის ნიშანი** – სიმეტრიულ მოიისფრო მკვეთრი, ზოგჯერ შეშუპებით ფლანგთაშუა სახსრებზე, იდაყვებსა ან მუხლებზე

დერმატომიოზიტის კლასიკური კანისმიერი ნიშნებია:

● **პერიორბიტალური მკვეთრი** – ეს არის ქუთუთოების და პერიორბიტალური ქსოვილების მოიისფრო, ერთემატოზული („ჰელიოტროპული“) მკვეთრი შეშუპებით ან მის გარეშე

● **ტელანგიექტაზია**

● **მკვეთრი ხელებზე და თითებზე**

● **მექანიკოსის ხელი** (ანტისინთეტაზას სინდრომის ნიშანი) – ხასიათდება სიმეტრიული ქრონიკული ეგზემის მსგავსი ქერცლით ხელებზე, განსაკუთრებით ცერათითის უღნარულ და სხვა თითების რადიალურ მხარეს

დერმატომიოზიტის კანის სხვა ნიშნებია:

● **პოიკილოდერმა** – ეს არის მოიისფრო ერთემის, დეპიგმენტაციის, ტელანგიექტაზიისა და ატრო-



a&b; violaceous erythema and coarse squam on scalp

c&d; Gottron's papules in patients with DM



a; loss of capillaries on nailfold


b; arborizing vessels on nailfold

c; salt and pepper sign on scalp

d; loss of substance from finger pads

e; digital pitted scar on the 5th finger

f&g; leukonychia totalis, punctata and periungual erythema in patients with SSc



ფიის ერთობლიობა; ყველაზე ხშირად გვხვდება მხრებზე, ზურგზე, დუნდულოვებზე, კისერსა და გულმკერდზე

● კალცინოზი – მტკივნეული არარეგულარული კვანძები ხახუნისა და ტრავმის ადგილებში, როგორცაა იდაყვები, მუხლები და თითები

სისტემური სკლეროზი

● სკლეროდერმიის მულტისისტემური ფორმაა დამახასიათებელი კანის ნიშნებით

● ასოცირდება სიკვდილიანობისა და ავადობის მაღალ მაჩვენებელთან

● სისტემური სკლეროზის ორი მნიშვნელოვანი კანის ნიშანია:

- რეინოს ფენომენი

- კანის სკლეროზი

● ეს ნიშნები გვეხმარება დაავადების კლასიფიკაციაში

- ლოკალიზებული სისტემური სკლეროზი

- CREST სინდრომი

- ვისცერული დაავადება

- დიფუზური სისტემური სკლეროზი

- გადაფარვითი სისტემური სკლეროზი

სკლეროდემა

● იშვიათი დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია მუცინის და კოლაგენის ჭარბი წარმოებით

● ასოცირდება ინფექციასთან, დიაბეტთან და პარპროტეინემიასთან

● დაავადების თანმხლები კანის ნიშნებია:

- კისრის, მხრების და ზედა

უკანა ნაწილის არაპირდაპირი ინდურაცია – მწვავე დასაწეხით - გლუვი კანი

სკლერომიქსედემა

● სკლერომიქსედემა გამოწვეულია მუცინის ჭარბი პროდუქციით და ფიბროციტების ჰიპერპლასიით - ასოცირდება პარპროტეინემიასთან

● დაკავშირებული გენერალიზებულ ლიქენოიდურ დაზიანებასთან - წარმოადგენს კიდურებსა და ტორსზე მიმოფანტულ შერწყმულ პაპულებს

● დისკრეტული პაპულური სკლერომიქსედემა

● ლიქენური მიქსოდემატოზი-სკლერომიქსედემის ლოკალური ფორმა კვანძებით

● ლიქენოიდული ბაღთები და ჭინჭრის ციება

შებენის სინდრომი

● სისტემური აუტოიმუნური დაავადება, როდესაც, პირველ რიგში, მცირდება ოფლი ჯირკვლების და ლორწოვანი ჯირკვლების მუშაობას, რაც იწვევს მშრალ სიმპტომებს

● გაცილებით ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში

● ლორწოვანის ნიშნებია:

- ქსეროზი (ლორწოვანი გარსის სიმშრალე)

- ქსეროსტომია (პირის სიმშრალე) - მიდრეკილი ანგულური ქეილიტისკენ

- თვალის სიმშრალე

შეგრენის სინდრომის კანის ნიშნებია:

● ქუთუთოების დერმატიტი

● ვაგინალური სიმშრალე

● დიფუზური თმის ცვენა

● ვიტილიგო

● რეინოს ფენომენი – ეს არის სინდრომის ყველაზე გავრცელებული ნიშანი და შეიძლება წინ უსწრებდეს მშრალ სიმპტომებს მრავალი წლის განმავლობაში

● კანისმიერი ვასკულიტი – ჩვეულებრივ გვხვდება არაპალპირებადი პურპურა- მრგვალი ვარდისფერი დაზიანება, რომლებიც იისფერი და შემდეგ ყავისფერია

- დერმალური ვასკულიტი წარმოადგენს პალპირებადი პურპურით და ჩვეულებრივ გვხვდება დუნდულებსა და ქვედა კიდურებზე

- ურტიკარული ვასკულიტი – ახასიათებს ერთეულატოზული ურტიკარული გამონაყარი, რომელიც გრძელდება 24 საათზე მეტხანს და ტოვებს ჰიპერპიგმენტაციას

- მანკროზებელი ვასკულიტი - თავდაპირველად წარმოიქმნება პალპირებადი პურპურა ქვედა კიდურებზე, რომლებიც წყლულდება და ტოვებს ნაწიბურებს 1-4 კვირის შემდეგ

● ანულარული ერთემა – ანულარული ერთემატოზული ბაღთები ცენტრით; ეს შეიძლება შეგვხვდეს აზიელ პაციენტებში, რომლებსაც ანტი-Ro/SSA ანტი-სხეულები აქვთ

● კვანძოვანი ერთემა

● მულტიფორმული ერთემა



ვასკულიტი შეგრენის სინდრომის დროს



**იშვინილური ართრიტი
სისტემური მასაჟისით**

● იშვინილური იდიოპათიური ართრიტის ფორმაა, რომელსაც ვლინდება მაღალი ცხელებით, ართრიტით და კანის ნიშნებით (შემთხვევების 95%-ში). შეიძლება იყოს ლიმფადენოპათია, მიალგია და მუცლის ტკივილი

ძირითადი ნიშნებია:

● მაკულარული ეგზანთემა – ეს არის გარდამავალი ეგზანთემა, არ ახასიათებს ქავილი, ემთხვევა მწვავე ფეხბრუნვით მდგმარეობას, ძირითადად ვლინდება ტორსზე;

● რევმატოიდული კვანძების მსგავსი დაზიანება – ახასიათებს კვანძები გამშლელ ზედაპირებზე, რომლებიც კლინიკურად და ჰისტოლოგიურად არ განასხვავდება რევმატოიდული ართრიტისგან



Livedo reticularis

ფსორიაზული ართრიტი


- ართრიტი და ფსორიაზი ან
- ართრიტი+ 2 ჩამოთვლილთაგან:
 - 1) დაქტილიტი

a&b; erythema and coarse squam on scalp

c&d; periungual desquamation in patients with JIA

e; distal splinter hemorrhages on onychodermal band and distal onycholysis

f; pitting in patients with JIA



*ერთროდერმული ფსორიაზი
11 წლის ბიჭთან*

2) ფრჩხილის დეფორმაცია ან ონიქოლიზი

3) ფსორიაზი პირველი რიგის ნათესავებში

● ფსორიაზი, ფრჩხილის დეფორმაცია, ონიქოლიზი, ან „ძეხვისებრი ფალანგები“-დაქტილიტი შესაძლოა შეგვხვდეს ფსორიაზული ართრიტისას

● ქრონიკული ფოლაქსებრი ფსორიაზი – მკვეთრად შემოსაზღვრული, ვერცხლისფერი აქერცვლით

– როგორც წესი, მოიცავს იდაყვებს, მუხლებზე, ზურგს, სკალპსა და ჭიპს

● წვეთისებრი ფსორიაზი – მწვავე გამონაყარი, 1 სმ-ზე ნაკლები ზომის პაპულებისა და ბალებების – იწყება ტორსზე და ვრცელდება კიდურებზე პროქსიმალურად

● ფრჩხილის ფსორიაზი – ონიქოლიზი და ონიქოდის-



*გენერალიზებული ფსორიაზული
ბალებები 2 წლის ბავშვთან*

ტროფიაა (ფრჩხილების მალფორმაცია)

● ფსორიაზული ერთროდერმა – პოტენციურად სიცოცხლისათვის საშიში ერთემა მთელ კანზე

● პუსტულური ფსორიაზი – სტერილურ პუსტულებს ხელის გულებსა და ტერფებზე ან გენერალიზებული პუსტულური ფსორიაზი

ვასკულიტი

● დარღვევათა ჰეტეროგენული ჯგუფია, რომელიც ვლინდება სისხლძარღვების კედლის ანთებით

● კანსა და სისხლძარღვებს აქვთ ახლო ანატომიური და ფიზიოლოგიური კავშირი; აქედან გამომდინარე, კანის ნიშნები ხშირია ვასკულიტის დროს

– პალპირებადი პურპურა

– Livedo reticularis

– ინფილტრაციული ერთემა

– წყლულები

– დიგიტალური იშემია

● ეს კანის ნიშნები ვასკულიტის ნებისმიერი სისტემური გამოვლინების დაუყოვნებლის გამოკვლევას მოითხოვს

– ამასთან, კანის ნიშნები კალკე არ არის საკმარისი კონკრეტული მდგომარეობის დიაგნოსტიკისთვის

**წვრილი სისხლძარღვების
ვასკულიტი**

● წარმოადგენს პალპირებად პურპურას (უფრო მეტად gravity-de-



ანულარული ფორმა ბავშვებში

Ricardo Romiti; Luciana Maragno; Marcelo Arnone; Maria Denise Fonseca Takahashi, Psoriasis in childhood and adolescence, An. Bras. Dermatol. vol.84 no.1 Rio de Janeiro Jan./Feb. 2009

pendent ადგილებში), ასოცირებული შემუშავებასთან

მცირე ზომის ვასკულიტის ფორმები და მათთან დაკავშირებული კანის ნიშნები მოიცავს:

● გრანულომატოზი პოლიანგიოტი – ასოცირდება ანტიენდოთელი ციტოპლაზმურ ანტისხეულებთან (ANCA), პოტენციურად ლეტალური მანეკროზებელი გრანულომატოზური ანთება და ვასკულიტი; კანის ნიშნები ძალზე ცვალებადია და მოიცავს პალპირუ-

ბად პურპურას, ღრმა ანთებით უმტკივნეულო მასებს, ღრძილების გადიდებას, წყლულებს, პანიკულიტსა და კვანძებს, განგრენოზული პიოდრმის მსგავსი წყლულებს

● ეოზინოფილური გრანულომატოზი პოლიანგიოტი – ANCA-სთან დაკავშირებული კიდევ ერთი ვასკულიტი; კანის ნიშნები აღინიშნება შემთხვევათა 50%-ში და მოიცავს პალპირებად პურპურას, მაკულებს, პაპულებს და ნოდულებს გამშლელ ზედაპირებზე; იშვიათად გვხვდება სახის შემუშავება, წყლულები, livedo reticularis და ღრმა პანიკულიტი

● მიკროსკოპული პოლიანგიოტი – ეს არის ANCA-ს კიდევ ერთი ვასკულიტი; მისი კანის ნიშნები, როგორც წესი, ვლინდება პურპურითა და წერტილოვანი სისხლნაქცევებით

● ურტიკარული ვასკულიტი – ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი, რომელიც ვლინდება ჭინჭრის ციების მქონე პაციენტთა დაახლოებით 5%-ში და ხასიათდება ნაზი და მტკივნეული პაპულებით, რომლებიც 24–72 საათის განმავლობაში არ ქრება

– ჰიპოკომპლემენტემიური ურ-



Tenbrock K. Clinical features and therapy of rheumatic diseases and vasculitides in childhood. Hautarzt. 2014;65:802-9.



Skin lesions of HSP
A) Classic lower extremity purpura
B) Necrotic lesions
C) Deep bruising

Courtesy of David D. Sherry, MD, Philadelphia, PA.

ვასკულიტის კატეგორია	
უპირატესად მსხვილი კალიბრის სისხლძარღვები	ტაკაიასუს არტერიტი
უპირატესად საშუალო კალიბრის სისხლძარღვები	ბავშვთა ასაკის კვანძოვანი პოლიარტერიტი
	კანისმიერი პოლიარტერიტი
	კავასაკის დაავადება
უპირატესად წვრილი კალიბრის სისხლძარღვები	გრანულომატოზური
	გრანულომატოზი პოლიანგიოტი
	ჩარჯ-სტრაუსის სინდრომი
	არაგრანულომატოზური
	მიკროსკოპული პოლიანგიოტი
	ჰენოხ-შონლაინის პურპურა
	იზოლირებულად კანისმიერი ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი
	ჰიპოკომპლემენტემიური ურტიკარული ვასკულიტი
სხვა	ბეჰჩეთის დაავადება
	მეორადი ვასკულიტი-ინფექცია, მალიგნიზაცია, მედიკამენტები
	შემართებული ქსოვილის დაავადებებთან ასოცირებული ვასკულიტი
	ცენტრალური ნერვული სისტემის იზოლირებული ვასკულიტი
	კოგანის სინდრომი
	არაკლასიფიცირებული





*Polyarteritis nodosa
Digital necrosis of toes (A)
fingers (B)*

Courtesy of David D. Sherry, MD, Philadelphia, PA.

ტიკარული ვასკულიტი – ეს არის სინდრომი ჭინჭრის ციების ქრონიკული მომდინარეობით, რომლებიც აღინიშნება > 6 თვის განმავლობაში, ჰიპოკომპლემენტემია და ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი გვხვდება ბიოპტატზე

ჰენოხ-შონლაინის პურპურა – ეს არის იმუნური კომპლექსებით გაშუალებული მცირე კალიბრის ვასკულიტი, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება ბავშვებში, უპირატესად, სასუნთქი გზების ინფექციის შემდეგ

● პურპურა (ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტი)

● ადგილობრივი შეშუპება

შეიძლება გამოიწვიოს ინტესტინული ვასკულიტი, ინვაზინაცია, გლომერულონეფრიტი და სასუნთქი სიმპტომები

საშუალოსისხლპარღვოვანი ვასკულიტი

● საშუალო ზომის ვასკულიტის ფორმები და მათთან დაკავშირებული კანის ნიშნები მოიცავს:

● **კვანძოვანი პოლიარტერიტი** – ეს ვასკულიტის იშვიათი ფორმაა, რომელიც მოიცავს დერმისა და კანქვეშა ქსოვილის მცირე და საშუალო ზომის არტერიებს

● კანის ნიშნები (15%-ში) მოიცავს წითელ, ლურჯ, ან მოიისფრო კანქვეშა კვანძებს, რომლებიც დინამიკაში იმატებს და ხდება მტკიცეული, livedo reticularis, ფეხის წყლულებსა და პოსტინფლამატორულ ჰიპერპიგმენტაციას

● **კავასაკის დაავადება** – ეს არის მწვავე მულტისისტემური ვასკულიტი ცხელებით, ასევე სისტემური და კარდიალური გამოვლინებებით

● კანის ნიშნები არის
– პოლიმორფული ეგზანთემა (რომელთა 90% გვხვდება ტორსსა და ზედა კიდურებზე)

– პერინეალური გამონაყარი (მაკულარული ან ბალთის ტიპის ერთემა, რომლის დესქამაცია ხდება 48 სთ-ში)

– ხელისგულების და ტერფების შეშუპება და ერთემა

– პირის ღრუს ნიშნები („აღუბლის“ ტუნები, მშრალი და დაბზარული „მარწყვის“ ენა ჰიპერტროფიული დერიდებით და დილატირებული სისხლძარღვებით)

– ფრხილების ახლოს დესქამაცია

● **ბეჩნეთის დაავადება** – მულტისისტემური ანთებითი დაავადება აზიანებს კანს, თვალებს, სასუნთქს და სხვა სისტემებს

● მისი კანის ნიშნებია:

– *მორეციდივე პირის ღრუს წყლულები* > შემთხვევათა 80%-ში

– *გენიტალური წყლულები* შემთხვევათა 64–88%-ში

– *კვანძოვანი ერთემა*

– *პუსტულები*

ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება – ახასიათებს ცხელების განმეორებითი შეტევები, რომელსაც თან ახლავს პერიტონიტი, პლევრიტი და ართრიტი

● FMF-ის კანის დაზიანებები ცნობილია, როგორც ერთიპედა, რომელიც გვხვდება ძირითადად ფეხებზე, ტერფსა და მუხლს შორის, ან ტერფის დორსალურ ზედაპირზე

● ვასკულიტები იშვიათია
– *დაახლოებით 5%-ში-ჰენოხ-შონლაინის პურპურა*



*Kawasaki disease
A) Subconjunctival hemorrhage
B) Unilateral cervical lymphadenopathy
C) Pedal edema*

Courtesy of Jon M. Burnham, MD MSCE, Philadelphia, PA.

– დაახლოებით 1%-ში კვანძოვანი პოლიარტერიტი

● გარდა ამისა, იშვიათ შემთხვევებში აღინიშნება ჭინჭრის ციება და ატიპიური ჰიპერემიული მორეციდივე კანის დაზიანება

რეზიუმე

● პედიატრიულ პოპულაციაში სპეციფიკური კანის დაზიანება შეიძლება იყოს დამახასიათებელი ნიშანი ისეთი რევმატოლოგიური დაავადებებისა, როგორცაა JIA, SLE, DM, SSc, FMF, ვასკულიტები და სხვა

● იმის გამო, რომ ბავშვებში ბიოფსიის ჩატარება ყოველთვის არ არის ადვილი (დაავადებაში კანის მონაწილეობის დასადასტურებლად) კლინიკური და დერმატოსკოპიული მანევრებლები შეიძლება დაეხმაროს, როგორც დერმატოლოგებს, ასევე რევმატოლოგებს სწორი დიაგნოზის დასმას



ბამოყვანებელი მასალა:

Lidar M, Doron A, Barzilai A, et al. Erysipelas like erythema as the presenting feature of familial Mediterranean fever. J Eur Acad Dermatol Venereol. 2013;27:912-5

Girisgen I, Sonmez F, Koseoglu K, et al. Polyarteritis nodosa and Henoch-Schönlein purpura nephritis in a child with familial Mediterranean fever: a case report. Rheumatol Int. 2012;32:529-33

Katipoglu B, Acehan F, Ates I. Unusual presentation of familial Mediterranean fever: atypical hyperaemic recurrent skin lesions. Clin Exp Rheumatol. 2016;34:S138

Amitabh Poonia, Priya Giridhara, Divya Sheoran, Subcutaneous Nodules in Acute Rheumatic Fever, The Journal of pediatrics, 2019

Ricardo Romiti; Luciana Maragno; Marcelo Arnone; Maria Denise Fonseca Takahashi, Psoriasis in childhood and adolescence, An. Bras. Dermatol. vol. 84 no. 1 Rio de Janeiro Jan. /Feb. 2009

Kwiatkowska M, Rakowska A, Walecka I, et al. The diagnostic value of trichoscopy in systemic sclerosis. J Dermatol Case Rep. 2016;10:21-5.

Giancane G, Consolaro A, Lanni S, et al. Juvenile idiopathic arthritis: diagnosis and treatment. Rheumatol Ther. 2016;3:187-207.

Bolognia JL, Jorizzo LJ, Schaffer JV, Dermatology. 3rd edition. New York: Saunders; 2012. pp: 615-4

Hochberg MC, Silman AJ, Smolen JS, et al. Rheumatology. 5th edition.

Philadelphia: Mosby Elsevier; 2011. pp: 250-8.

Dalakas MC. Polymyositis, dermatomyositis and inclusion-body myositis. N Engl J Med. 1991;325:1487-98.

Fisler RE, Liang MG, Fuhlbrigge RC, et al. Aggressive management of juvenile dermatomyositis results in improved outcome and decreased incidence of calcinosis. J Am Acad Dermatol. 2002;47:505-11.

Shirani Z, Kucenic MJ, Carroll CL, et al. Pruritus in adult dermatomyositis. Clin Exp Dermatol. 2004;29:273-6.

Hundley JL, Carroll CL, Lang W, et al. Cutaneous symptoms of dermatomyositis significantly impact patients' quality of life. J Am Acad Dermatol. 2006; 54:217-20.

რეზიუმე

რევმატული დაავადებების კანისმიერი მანიფესტაცია პედიატრიულ ასაკში

ეკა ნახუტსრიშვილი

ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგიის, რეზიდენტი

თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გამონაყარი ყოველთვის არ ასოცირდება სისტემური დაავადებასთან, თუმცა ბევრ სისტემურ პათოლოგიას გარკვეული ეტაპზე აქვს კანისმიერი გამოვლინება. სისტემური დაავადების გამოვლინება კანზე ხშირად ბუნდოვანია და არაპეციფიკური, თუმცა ზოგჯერ იმდენად პათოგნომურია, რომ განსაზღვრავს ნოზოლოგიას და პროგნოზული მარკერია.

ამ ეტაპზე ჯერჯერობით სისტემური დაავადების კანისმიერი მანიფესტაციების ზუსტი კლასიფიკაცია არ არსებობს.

პედიატრიულ პოპულაციაში სპეციფიკური კანის დაზიანება შეიძლება იყოს დამახასიათებელი ნიშანი ისეთი რევმატოლოგიური დაავადებებისა, როგორცაა JIA, SLE, DM, SSc, FMF, ვასკულიტები და სხვა. იმის გამო, რომ ბავშვებში ბიოფსიის ჩატარება ყოველთვის არ არის ადვილი (დაავადებაში კანის მონაწილეობის დასადასტურებლად) კლინიკური და დერმატოსკოპიული მახვენებლები შეიძლება დაეხმაროს, როგორც დერმატოლოგებს, ასევე რევმატოლოგებს სწორი დიაგნოზის დასმაში.

SUMMARY

SKIN MANIFESTATION OF RHEUMATIC DISEASES IN PEDIATRIC AGE

EKA NAKHUTSRISHVILI

Pediatric Cardiology-Rheumatology.

Resident

Tbilisi State Medical University

Abnormal exit of the left coronary artery from the pulmonary artery is a rare congenital anomaly. It is also referred to as two forms of Bland-White-Garland syndrome: pediatric and adult age. 90% of newborns with myocardial infarction and congestive heart failure cannot live to 1 year.

Historically, the diagnosis could have been made by angiocardiographic examination of the heart, but today it is possible to achieve this by non-invasive research methods:

Computed tomography of the heart with angiography

Magnetic resonance imaging, which in itself increases the timely selection and implementation of treatment strategies.





I პლენარული სხდომა FIRST PLENARY MEETING -11. 30-12. 30.

(ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული
სექცია)
(Euroscience Georgian National Section)

თავმჯდომარეები: საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები: დ. ბაშელეიშვილი, პ. კერვალიშვილი, გ. აბდუშელიშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ირ. ფავლენიშვილი და ყ. ფაღავა; მედ. დოქ. კ. ჩახუნაშვილი,

Chairmens: Academicians: D. Bashaleishvili, P. Kervalishvili, G. Abdushelishvili, G. Chakhunashvili, I. Pavlenishvili, K. Pagava; PhD. MD. K. Chakhunashvili

1. „ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2018-19 წწ ანგარიში“ – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ვიცე-პრეზიდენტი – მ. დ. ჩახუნაშვილი, მ.დ.კ. ჩახუნაშვილი (თბილისი, საქართველო)

„Georgian National Section of Euroscience and it’s annual report-2018-19“ – Vice –president of ESGNS Ph. D. MD. D. Chakhunashvili, Ph. D. MD. K. Chakhunashvili(Tbilisi, Georgia)

2. „დნმ ბიოსენსორები -ახალი მიდგომები“. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი პაატა კერვალიშვილი

“DNA biosensors – new approaches” - Novel Approaches”, Dr. Phys & Math Sciences, Professor Academician Paata Kervalishvili

3. „დადამიანის დეცელულარიზებული ჰიპლარის არტერიისაგან დამზადებული სამგანზომილებია მატრიქსის გამოყენება სანაღველე გზების ატრეზიის რეკონსტრუქციისათვის“ – კ. ჩახუნაშვილი, ი. ფავლენიშვილი, ზ. კაკაბაძე(თსსუ)

Using three-dimensional scaffold from decellularized human umbilical artery for bile duct reconstruction – K. Chakhunashvili, I. Pavlenishvili, Z. Kakabadze(TSMU)

4. „პედიატრი, როგორც ბავშვის აღმზრდელი“. პროფ. ყ. ფაღავა (თსსუ)

”Pediatrician, as a person who raises a child”. – Prof. K. Paghava (TSMU)

5. „ვენტრალური თიქარები: თანამედროვე გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“ დ. ჩახუნაშვილი, ზ. კაკაბაძე, ნ. მელაძე(თსსუ)

“Ventral Hernias: Modern challenges and future prospects” D. Chakhunashvili, Z. Kakabadze, N. Lomidze (TSMU)

6. „მოლეკულური ბიოლოგიის თანამედროვე ამოცანები“ პროფ. ნ. ხვითია, პროფ დ. ცხომელიძე (თსსუ)

“Molecular biology today” Prof. N. Khvitia, Prof. D. Tskhomelidze (TSMU)

7. „აპტოსის ძაფებით კორექციის მეთოდები“ ეკ. კვიციანი, მ. წიგვიანი (თბილისი)

“Correction with Aptos Threads” E. Kvirvelia, M. Tsvit-sivadze ეკ. კვიციანი, მ. წიგვიანი (თბილისი)

8. „ჰომოსექსუალიზმის გენეტიკა“ პროფ. ჭიპაშვილი (თსსუ) “Genetics in Homosexuality” Prof. M. Chipashvili (TSMU)

დებატები DISPUTE

II პლენარული სხდომა SECOND PLENARY MEETING - 13. 00-15. 30

საქართველოს ექთანთა IV კონგრესი
IV GEORGIAN NURSE CONGRESS

ლექციები და მოხსენებები Lectures and Presentations

თავმჯდომარეები: მ. დიდუბაშვილი, თ. დაუსი
კონსულტანტი: კიმ ქროფორდი (აშშ)

Chairmen: M. Didebashvili, T. Dausi

Consultant: Kim Crowford (USA)

1. პირვალი გადაუდებელი მედიცინის ემერჯენსის განყოფილება სამეგრელოს რეგიონში. ლელა ჭითანავა ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტლის მთავარი ექთანი

First aid in Emergency Department – Lela Tchitanava

2. ექთნის პროფესიის გაცნობა და პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსი შშმ პირებისათვის. ნაბო ქაჯაია-ასოციაცია ანიკა ოკუპაციური თერაპევტი

Nurse Profession and First aid for people with special needs – Nabo Qajaia

3. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა. მარიამ გოგია-შ. პ. ს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი დირექტორის მოადგილე

Professional Skills Development Program for School Students WSD PROGRAM M. Gogia

4. საექთნო განათლება საქართველოში თამარ დაუსი - შ.პ.ს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის რექტორი, კორპორაცია ევექსის საექთნო მიმართულების ხელმძღვანელი

NURSING EDUCATION IN GEORGIA T. DAUSI

5. აჭარის რეგიონში საექთნო საქმე ინგა კილტავა- აჭარის რეფერალური ჰოსპიტლის მთავარი მედა და Nursing in Ajara Region - I. Kiltava

6. თრომბოლიზის ნ. ცხოვრებოვი – შ. პ. ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის უფროსი ექთანი

Thrombolysis N. Tskhovrebovi

7. ინფექციის კონტროლის საკითხები სადიალიზოზში რ. რევაზიშვილი მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა. - დიალიზის დეპარტამენტის უფროსი ექთანი

Infection Control in Dialysis Department R. Revazishvili

8. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საკითხები საქართველოში მ. მუშუკუდიანი. - შ. პ. ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის კლინიკის მთავარი ექთანი

Bone marrow transplantation in Georgia - M. Mushkudiani

9. სოპორაციოს განვითარება მაკა კობახიძე





Development of Operation Room Maka Kobakhidze

10. პალიატიური პაციენტების მოვლა პედიატრიულ ასაკში გულნარა გვიმრაძე – კორპორაცია ევექსის კლინიკები ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის უფროსი მედლა

Paliative Pediatric Care – Gulnara Gvimradze

11. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 პედიატრიულ ასაკში ნანა ჩიტიშვილი: თსსუ გ. უვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ბავშვთა ენდოკრინოლოგიის ცენტრის უფროსი ექთანი

12. ხელის ჰიგიენის განვითარება იმერეთის რეგიონში ინგა ჩირგილაძე იმერეთის რეგიონის მთავარი ექთანი

Bone marrow transplantation in Georgia-In. Chirgviladze

13. თირკმლის მწვავე უკმარისობა დარეჯან კანანაძე

Acute Kidney Failure Darejan Kapanadze

14. სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დანერგვა - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექტონო კოლეჯში სალომე ჭინჭარაული

The implementation of the educational process management system at David Tvildiani Medical University Community Nursing College – Salome Tchincharauli

15. ტრაქეის სტენოზის მკურნალობისა და პროფილაქტია საექტონო მიდგომებშიმარიამ ჩოხელი შ. პ. ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საოპერაციოს უფროსი ექთანი

Treatment and prevention of tracheal stenosis Nursing Approach M. Chokheli

III პლენარული სხდომა

SECOND PLENARY MEETING -16. 90-18. 30

თამაშვლდმარეები: პროფ. დ. ცხომელიძე, პროფ ნ. უბერი, დ. ჩახუნაშვილი

Chairmen: Prof. D. Tskhomelidze, Prof. N. Uberi, D. Chakhunashvili

მეცნიერული კონსულტანტები პროფესორები: რ. კარსელაძე, ქ. ნემსაძე r. kutubiZe, v. CxaiZe

Scientific consultants and professors: R. Karseladze, K. Nemsadze R. Kutubidze, V. Chkhaidze

1. „რეკმატული დაავადებების კანისმიერი მანიფესტაცია პედიატრიულ ასაკში“ ე. ნახუცრიშვილი (თსსუ-რეზიდენტი)

„Skin presentation during Rheumatic Diseases.“ E. Nakhutsrishvili (Resident of TSSU)

2. „ბავშვთა ზრდა განვითარების შეფასება“ ი. იაკობიძე, (ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა)

“Child Development Assessment” – I. Iakobidze (I. Tsitsishvili Children’s New Clinic)

3. „მოლეკულური ბიოლოგია და ბავშვთა დაავადებები“ დ. ცხომელიძე, მურაღი დაშნა ანანდანი, სანჯანა სანჯაი

“Molecular Biology and children’s diseases” D.

Tskhomelidze, Murali Dashna Anandan, Sanjana Sanjay (Tbilisi-india)

4. „ფიტნესი ფიზიკური ვარჯიშის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“ კ. გვერცაძე (სპორტის უნივერსიტეტის სპორტული ფაქულტეტი)

“Effects of Fitness and Physical Exercise on Human Body

5. „მარცხენა კორონარული არტერიის ანომალური გამოსვლა ფილტვის არტერიიდან“ თ. თედორაძე (თსსუ, რეზიდენტი)

“Anomalous Topographic Location of Coronary Artery” – T. Tedoradze (Resident of TSSU)

6. „ვილმის სიმსივნე“ მ. მეშველიანი (თბილისი) “Wilm’s Tumor” M. Meshveliani

7. „ჩვენ და გარემო“ დ. ცხომელიძე, ნ. ჭილაძე, სანიუა აკრამ

„We and environment” D. Tskhomelidze, N. Chiladze, Saniya Akram (Tbilisi – India)

8. „ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრების პირობებში“ ბ. გოროზია (საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სპორტული ფაკ.)

“Necessity of Physical exercise in Today’s World” B. Gorozia

9. „კავასაკის დაავადება“ ნ. მეგრელიშვილი (თბილისი)

“Kawasaki Disease” N. Megrelishvili

10. „სოციალური მედიის გავლენა საგანმანათლებლო სფეროზე“ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ქეთევან გოგოძე

“Effects of Social Media on Education System” – Ketevan Gogodze PhDs

11. „მიტალური სარქველის პროლაპსის კლინიკური ღირებულებანი“ ლ. ხუციძე (თსსუ რეზიდენტი)

“Clinical Importance of Mitral Valve Prolapse” L. Khurtsidze (Resident of TSSU)

12. „სკოლის ექიმის თანამედროვე მოთხოვნები-3“ მედ. დოქტ. ნ. ბადრიაშვილი /სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის სწავლული მდივანი/

“Modern demands of school doctors-2” – M. D. N. Badriashvili / Secretary of Social Pediatrics Protection Fund

13. „სკოლის ექიმი, როგორც პირველადი ჯანდაცვის დამხმარე რგოლი“ მ. ივანიაძე (თბილისი)

“School Doctor as an essential part of primary health-care” M. Ivaniadze

14. „პედიატრიულ პრაქტიკაში საექიმო შეცდომები-3“ – მედიცინის დოქტ. პროფესორი დ. ტაბუცაძე,

“Medical errors in pediatric practice-2” – M. D. Prof. D. Tabutsadze

15. „სამყარო. როგორც ვალეოლოგიური განათლების შემეცნებითი ფუნდამენტი“. ივ დოლიძე, მმდ, პროფესორი /საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი/ თბილისი/

“Foundation of Valeology” I. Dolidze, Prof. Phd, Georgian State Educational University of physical education and sports/ Tbilisi/



საინტერესო ურობების კალაიდოსკოპი

KALEIDOSCOPE OF INTERESTING WORKS

საქართველოში სამედიცინო სამსახურის განვითარება DEVELOPMENT OF NURSING SERVICES IN GEORGIA

მარინე დიდუბაშვილი
ვერომეცნიერების საქართველოს ერევნული სექციის საქმთო მიმართულების ხელმძღვანელი
სს ევექსის ჰოსპიტლები - ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი მედლა

MARINE DIDEBASHVILI

Head of the Nursing Department of the Georgian Section of the European Science of Georgia
JSC Evex Hospitals - Chief Nurse of I. Tsitsishvili Children's Hospital

სამედიცინო სამედიცინო

● საქმთო საქმიანობა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას და რესურსს ჯანდაცვის ეროვნული სისტემის პოტენციალის გაძლიერებისათვის

● ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქმთო საქმის განმტკიცების სტრატეგიული მიმართულებიდან ერთერთი პრიორიტეტული სწორედ საქმთო განათლებაა, საქმთო საქმეში საგანმანათლებლო პროგრამებმა ხელი უნდა შეუწეონ ექთნისათვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციებისა და ასევე ზოგად/ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.

● საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საქმთო საქმის თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის. ექთნების რაოდენობა შემცირებულია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით

● პრობლემებს შორის აღნიშნავს საჭიროებს ექთან/პაციენტის შეფარდების არ გათვალისწინება, რაც გავლენას ახდენს საქმთო მოვლის ხარისხზე.

● საქმთო პერსონალის რიცხოვნების შემცირების მრავალმიზეზთაგან უპირველესი ამ პროფესიის არაპრესტიჟულობა და დაბალი ანაზღაურებაა.

● ამავდროულად საქართველოში გვაქვს საქმთო პროფესიის რაობისა და ფუნქციების ცოდნის დეფიციტი როგორც საზოგადოების არასამედიცინო ნაწილში, ასევე, საქმთო და საქმთო პერსონალში.

● სწორედ ამ მოთხოვნების და ცნობადობის გაუმჯობესების მიზნით ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ბაზაზე შეიქმნა ვერომეცნიერების საქმთო სექცია.

● საქართველოს ვერომეცნიერების ეროვნული სექციის და სოციალური პედაგოგის დაცვის ფონდის დახმარებით, რასაც სათავეში უდგას ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი ჩამოყალიბდა 2008წ. -იდან ვერომეცნიერების საქმთო სექცია და ჩატარდა პირველი საქმთო კომფერენცია. რომელიც ტრადიციულად გრძელდება და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

2008-I



ზოგადად ევრომეცნიერების და მათ შორის საექთნო სექციის ინტერესთა უამრავ ქვეყნებში გახდეს ცნობადი, წარმოდგენილი იყოს სოციალურ ქსელში და ბეჭდურ მედიაში ექთანთა მიხვევები და საექთნო საქმის განვითარება საქართველოში.

2010-II



2011

NATO OTAN Science for Peace and Security (SPS) North Atlantic Treaty Organization

ISTC Philosophy and Synergy of Information: Sustainability and Security 20-24 April 2011, Tbilisi, Georgia International Cooperation for Sustainable Development through Science and Technology ISTC Conference: 19-20 April, 2011, Tbilisi, Georgia

Kim Crowford, Roeland Monasch Unicef representative (USA)

● 2011 წელს ჩატარდა რიგგარეშე კონფერენცია სადაც მოწვეული იყო ერთერთ თავჯდომარედ ა. შ. შ. დან ჩვენი კოლეგა კიმ კროუფორდი, კიმმა ძალიან ბევრი რამე გააკეთა საქართველოს ექთნების სასწავლო პროგრამაში და მათ განვითარებაში

● 2013 წელს როდესაც პოსტსაპქოთა სივრცეში გაიხსნა საქართველოში, იაშვილის კლინიკის ბაზაზე პირველი ემერჯენსი კიბი გვედგა გვერდზე და ერთად ვატრენირებდით იქ მომუშავე ექთნებს.

● ჩემი ამერიკის შეერთებულ შტატების ვიზიტის დროს მიღებული გამოცდილება მოვარგეთ ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს, იაშვილის კლინიკაში არსებულ სისტემას და საექთნო სამსახურს, რაშიც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა და იაშვილის კლინიკის ადმინისტრაციამ. საქართველოში ექთანმა წარმატებით აითვისა პირველადი ჩივილების, ანამნეზის გამოკითხვა და შეგროვება, დაიწყო პაციენტის პირველადი შეფასება, გაერკვია და დაეუფლა საექთნო დიაგნოზებში, ასევე ძალიან კარგად აითვისა სამედიცინო აპარატურა და თანამედროვე ტექნოლო-

გიები. ერთი სიტყვით საქართველოშიც იგრძნო ექთანმა თავი, რომ შეიძლება იყოს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, მისი საქმე არ არის მარტო მითითებებით დანიშნულების მექანიკური შესრულება მას შეუძლია პაციენტის მკურნალობაში და მართვაში ჩაერთოს თავის კონფიდენციების ფარგლებში და სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა მის გამოჯანმრთლებაში. მუდმივად ვატრენირებდით ექთნებს, ისევე ჩვენს გვერდით იდგნენ ამერიკელი კოლეგები და მათ გადაამზადებაში გვეხმარებოდნენ რის საფუძველზეც გამართულად და წარმატებით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ემერჯენსის განყოფილების მუშაობას, მათ შორის საექთნო საქმესაც.

2014-III



● 2014 წ. ჩატარდა რიგით III საექთნო კონფერენცია, კონფერენციაზე ექთნებს წარმოდგენილი ჰქონდათ საექთნო ჩარევებზე და დიაგნოზებზე პრეზენტაციები.

● ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ ინდივიდუალურად კონკრეტული პაციენტის ქეისები.

● რაზეც გაიმართა დისკუსია და მსჯელობა, რამდენად იყო სწორედ ჩართული საექთნო მიმართულება პაციენტის მკურნალობაში

2019წ - IV კონფერენცია

● 21019 წლის რიგით IV კონფერენცია რომელიც იმართება დღეს, შემოემატა კიდევ ერთი თავჯდომარე ევრომეცნიერების საექთნო მიმართულებაში თამარ დაუსი რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა და დიდი დამსახურება აქვს საექთნო დეპარტამენტის გადაამზადებასა და თანამედროვე საექთნო საქმის განვითარებაში.

● ქნ-მა თამარმა ევრო სტანდარტების მიხედვით ჩამოაყალიბა დიდ გუნდთან ერთად დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული საექთნო კოლეჯი, რომლის კურსდამთავრებულებიც უკვე არიან წარმატებული ექთნები.

● აღნიშნული კონფერენციაზე წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ექთანი, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობასა მოგუხდი ევრომეცნიერების სახელით.

● IV კონფერენციაზე მომხსენებლებს წარმოდგენილიაქვე შემდეგი თემები:

● პირვალი გადაუღებელი მედიცინის (ემერჯენსის) განყოფილება სამეგრელოს რეგიონში.

● ექთნის პროფესიის გაცნობა და პირველადი



გადაუდებელი დახმარების კურსი შშმ პირებისათვის.

- სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა.
- საექთნო განათლება საქართველოში
- აჭარის რეგიონში საექთნო საქმე
- თრომბოლიზისი
- ინფექციის კონტროლის საკითხები სადიალიზოში
- ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საკითხები საქართველოში
- საოპერაციოს განვითარება
- პალიატიური პაციენტების მოვლა პედიატრიულ ასაკში

- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 პედიატრიულ ასაკში
- ხელის ჰიგიენის განვითარება იმერეთის რეგიონში
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დანერგვა
- ტრაქეის სტენოზის მკურნალობისა და პროფილაქტია საექთნო მიდგომები
- წარმოდგენილი თემებიდან ირკვევა, რომ საექთნო სამსახურში მიმდინარეობს პროფესიისა და პროფესიონალიზმის განვითარება.
- ჩემო ძვირფასო კოლეგებო და დამსწრე საზოგადოება ამაში ნამდვილად დარწმუნდებით, რომ საქართველოს უკვე ყავს და უახლოეს წლებში კიდევ უფრო მეტი ეყოლება პროფესიონალი ექთნები.

რეზიუმე

საქართველოში საექთნო სამსახურის განვითარება

მარინე დიდუბაშვილი

ევრომეცნიერების საქართველოს ერეგული სექციის საექთნო მიმართულების ხელმძღვანელი სს ევექსის ჰოსპიტლები – ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი მედია

საექთნო საქმიანობა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას და რესურსს ჯანდაცვის ეროვნული სისტემის პოტენციალის გაძლიერებისათვის.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო საქმის თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის.

შრომიდან როგორც ირკვევა ირკვევა საექთნო სამსახურში მიმდინარეობს პროფესიისა და პროფესიონალიზმის განვითარება-საქართველოს უკვე ყავს და უახლოეს წლებში კიდევ უფრო მეტი ეყოლება პროფესიონალი ექთნები.

SUMMARY

DEVELOPMENT OF NURSING SERVICES IN GEORGIA

MARINE DIDEBASHVILI

Head of the Nursing Department of the Georgian Section of the European Science of Georgia JSC Evex Hospitals – Chief Nurse of I. Tsitsishvili Children’s Hospital

Nursing is an important subsystem of health care services and a resource for strengthening the potential of the national health care system.

Georgian healthcare system suffers from an acute shortage of qualified nurses with a modern concept of nursing.

As it turns out, the nursing service is developing its profession and professionalism - Georgia already has and will have even more professional nurses in the coming years.

საექთნო განათლება საქართველოში NURSING EDUCATION IN GEORGIA

თამარ დაუსი

შ.პ.ს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის რექტორი, კორპორაცია ევექსის საექთნო მიმართულების ხელმძღვანელი

T. DAUSI



საექთნო განათლების მიზანი

- გამოიკვეთოს და ჩამოყალიბდეს საექთნო განათლება და პრაქტიკა
- შეიქმნას სათანადო ინტელექტუალური და ადამიანური რესურსები
- გამოიკვეთოს სოციალური პოზიციონირება
- მოთხოვნა მოწოდების ბალანსის დარეგულირება
- ექთნების ხარისხის ამაღლება





სამართლო განათლების ისტორია

180 კრედიტი ვს 134 კრედიტი

საექთნო საქმე და ბებიაქალის მომზადების საბაკალავრო პროგრამები ვადის მიხედვით შესაბამისობაშია

! პროფესიული განათლებაშიც არსებობს პრაქტიკოსი ექთნის და ბებიაქალის პროგრამები, რაც სწავლის შედეგებთან მიმართებაში ამ პროგრამების შემდგომ კვლევას მოითხოვს.

მითხროვნა

● დარგობრივ ან და ჩარჩო დოკუმენტში უნდა ასახოს:

- დირექტივაში მოცემული სწავლის ჯამური შედეგები
- თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი და სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

მითხროვნა VS რეალობა

ექთნების მომზადების პროგრამა მთლიანობაში უნდა მოიცავდეს სულ მცირე 3 სასწავლო შესაბამისი ECTS კრედიტების ოდენობით

თეორიული და კლინიკური მეცადინეობის სულ მცირე 4 600 საათს.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ხანგრძლიობა

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პროგრამის განხორციელების მანძილზე აიღონ პასუხისმგებლობა თეორიული და კლინიკური მეცადინეობების კორდინაციაზე.


პრაქტიკული და კლინიკური მომზადება

- ორსული ქალის კონსულტირება, სულ მცირე 100 პრენატალური ვარჯიშის ჩათვლით.
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა.
- სტუდენტის მიერ სულ მცირე 40 მშობიარობის მიღება;
- აქტიური მონაწილეობა არასწორპოზიციაში მყოფი ბავშვის მშობიარობისას
- ეპისტომის გაკეთება და ქირურგიული გაკერვის ინიცირება.
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი
- სულ მცირე 100 მშობიარობის შემდგომი/ახლად-ნამშობიარები ქალისა და ჯანმრთელი ახალშობილის ზედამხედველობა და მოვლა (გასინჯვის ჩათვლით);



ტრენერები



2017 Entry



2016 ENTRY





კლანიპელა



პირმეზანო



რეზიუმე

საექთნო განათლება საქართველოში

თამარ ღაზსი

შ.პ.ს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საქონლო კოლეჯის რექტორი, კორპორაცია ევექსის საქონლო მიმართულების ხელმძღვანელი

ჯანმოს რეკომენდაცია: 1 ექიმზე 4 ექთანი. 2013 წლის მონაცემებით, ეს მანვენებული საქართველოში არის 1:0. 9, რაც ბოლო ადგილას გვაყენებს თუ გადავხედავთ ევროპულ გამოცდილებას. შედარებისთვის, ეს თანაფარდობა ბელგიაში 1:6, 1:5. 3 შვეიცარიაში და 1:3. 4 გერმანიაში.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში წელიწადში 100-მდე ექთანი ასრულებს სასწავლებელს, ხოლო ევროპული საშუალო მანვენებული ყოველწლიურად 1400-ს აღწევს.

ამჟამად საქონლო განათლების სამი დონე არსებობს:

1. მესამე საფეხური – 2 წლიანი სასწავლო პროგრამა – კვალიფიკაცია ექთნის თანაშემწე (პროფესიული განათლება);
2. მეხუთე საფეხური – 3 წლიანი სასწავლო პროგრამა – კვალიფიკაცია ექთანი (პროფესიული განათლება);
3. მე-6 საფეხური – საბაკალავრო პროგრამა – 4 წლიანი სასწავლო პროგრამა, ექთან ბაკალავრის კვალიფიკაცია;

მე-5 და მე-3 დონის პროგრამებში არ შედიოდა ძირითადი საბუნებისმეტყველო საგნები, როგორცა არის ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, პათოლოგია, მიკრობიოლოგია და სხვა.

სამედიცინო კორპორაცია ევექსმა განახორციელა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვით გაუმჯობესდა მეხუთე საფეხურის ექთნის სასწავლო პროგრამა ევროკავშირის 2005/36 დირექტივის შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ამ პროცესმა მოიცვა ორი წელი, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

სამედიცინო კორპორაცია ევექსმა შეიტანა განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა იზიარებს ამერიკის, ფინეთის, ირლანდიისა და პოლონეთის სასწავლო გეგმის სტრუქტურას და მიჰყვება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნას. ახალი სასწავლო პროგრამა დამტკიცდა 2018 წლის 18 აპრილს. მიუხედავად მიმდინარე პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ხარვეზების შევსების მცდელობისა, საქონლო განათლების სასურველი საერთაშორისო დონის დაკმაყოფილება მაინც რთულია. რთულ სასწავლო გეგმასთან ერთად, სასწავლო პროცესი დიდ წინააღმდე-



გობებს აწვდება სათანადო ინტელექტუალური და ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. ამჟამად ექთან ტრენერების ძალიან მცირე რაოდენობა ასწავლის კოლეჯებში. ლექციების უმეტესობას ექიმები ატარებენ. ეს პრობლემა კიდევ უფრო გაუარესდა სასწავლო მასალების ნაკლებობით. ამჟამად ჩვენ ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას ადგილზე შექმნილი სასწავლო კონსპექტებით.

ჩვენი მიზანს წარმოადგენს და უკვე ვმუშაობთ EBRD და EVEX შორის გაფორმებული პარტნიორობის საფუძველზე, საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნის მხრივ. ამ მიზნის შესრულებას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ კომპონენტის გარეშე ვერ განხორციელდება შესაბამისი სრულფასოვანი განათლების სექტის აგება.

SUMMARY

NURSING EDUCATION IN GEORGIA

T. DAUSI

The recommended WHO recommendation is per 1 doctor 4 nurses. According to 2013 data, this figure in Georgia is 1: 0.9 which is one of the last places in Europe. For comparison, this ratio in Belgium is 6 nurses per doctor, 5.3 in Switzerland and 3.4 in Germany.

According to official statistics, per year in Georgia are graduating up to 100 nurses, while the average European rate is 1400 nurses annually.

Currently we have are three levels of education for nurses:

1. Third level, 2 years learning program qualifying for nurse assistants (professional education)
2. Fifth level, 3 years learning program qualifying for professional nurses (professional education)
3. University level, 4 years learning program qualifying for nurse bachelors.

The curriculum till 2018 5th and 3rd level programs do not include, basic subjects such as anatomy, physiology, biochemistry, pathology, microbiology and others. Evex Medical Corporation

As legislative initiative worked on improvement of learning curriculum for fifth level nurses according to Euro directive 2005/36 while meeting international standards. The process took two years with frequent relationship with Ministry of Education and Science of Georgia. Evex Medical Corporation filed an application for the National Center for Education Quality Enhancement. The curriculum, presented by working group shares the curriculum scheme of America, Finland, Ireland and Poland and follows the requirement of Euro directive. New curriculum has been approved on April 18th, 2018. Despite trying to fill in theoretical and practical gaps of a current program it is still very challenging to meet desired international level of nursing education. Together with challenging curriculum, teaching process faces major obstacles due to a lack of appropriate work force teaching process. Now very little number of nurse trainers are teaching in colleges. Most of the lectures are held by doctors. This problem is further worsened by lack of teaching materials. Currently we are trying to tackle the problem locally providing student with ad hoc solution and learning materials only. Our goal is, and we are already working, based on the partnership established between EBRD and EVEX to create educational literature. The achievement of this goal is of the utmost importance, because without this component, a relevant full-fledged education scheme cannot be built.

ინფექციის კონტროლი ჯეო ჰოსპიტალში - გამოცდილების გაზიარება

INFECTON CONTROL IN GEO HOSPITALS – SHARING EXPERIENCES

ნონა გოშაძე

ჯეო ჰოსპიტალის ქსელის საექონო საქმის განვითარების სამსახურის უფროსი

NONA GOSHADZE

Head of Nursing Development Service



შიზაარსი

- ინფექციის კონტროლის მარეგულირებელი კანონმდებლობა
- ექთნების როლი
- განხორციელებული აქტივობები
- სირთულეები და უპირატესობები ქსელურ კომპანიაში


306 ვართ?

- იმერეთი
- კახეთი
- მცხეთა-მთიანეთი
- ქვემო ქართლი
- სამცხე-ჯავახეთი

306 ვართ?

- 14 სტაციონარული დაწესებულება
- 9 ინტეგრირებული ამბულატორია
- 10 ცალკე მდგომი ამბულატორია

სამულო სამედიცინო პერსონალი - 1243 სამტატო ერთეული





კანონმდებლობა

● **01-38/5 ბრძანება**

ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ

● **01-38/5 ბრძანების ცვლილება** – **ბრძანება 01-13/5** სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი – დანართი №2

● **01-5/6 ბრძანება**

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

სამინისტროს მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი – დანართი №2

კითხვარი			
თავი მოცულობა	სრული ქვითების წილი	ქვითების წილი	შინაარსი
I	10	0	შენიშვნის მდგომარეობა
II	9	9	დაწესებულების ეზო და სამედიცინო ნარჩენები
III	5	0	წყალმომარაგება
IV	10	10	დაწესებულების სათავსების სისუფთავე
V	6	6	თეთრულისა და საწოლის აღჭურვილობის რეცხვა
I	11	4	ინფექციების კონტროლის ორგანიზაციული უზრუნველყოფა
II	12	12	სტერილიზაცია/დეზინფექცია
III	4	4	ხელეების ჰიგიენა
IV	5	2	პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
V	6	6	უსაფრთხო ინექციების პრაქტიკა
VI	3	1	ნოზოკომიური ინფექციების საინჟინრო კონტროლი
VII	3	0	ანტიბიოტიკების გამოყენების პოლიტიკა
	84	54	
		64%	

შეჯამება



სააგენტოს მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი – დანართი 1.1. კითხვარი 1

თავი მოცულობა	სრული ქვითების წილი	ქვითების წილი	შინაარსი
I	3	0	შენიშვნის მდგომარეობა
II	6	6	დაწესებულების ეზო და სამედიცინო ნარჩენები
III	4	0	წყალმომარაგება
IV	6	6	დაწესებულების სათავსების სისუფთავე
V	4	4	თეთრულისა და საწოლის აღჭურვილობის რეცხვა
I	8	6	ინფექციების კონტროლის ორგანიზაციული უზრუნველყოფა
II	12	10	სტერილიზაცია/დეზინფექცია
III	2	2	ხელეების ჰიგიენა
IV	2	0	ნოზოკომიური ინფექციების საინჟინრო კონტროლი
V	2	0	ანტიბიოტიკების გამოყენების პოლიტიკა
	49	34	
		69.4%	

დასრულებული პროექტები

საექთნო მიმართულების მიერ ჩატარებული აქტივობები
 სტრუქტურული ცვლილებები პროცესები – გაწერა, დანერგვა სოპ-ები, პროტოკოლები თვალსაჩინოებები პერსონალის ტრენინგი



სააგენტოს მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი – დანართი 1.1. კითხვარი 2

	სრული თავი მოცულობა	ექთნის წილი	შინაარსი
I	10	3	დაწესებულების გარემო/სათავსების შეფასება
II	10	9	ინფექციის კონტროლის ღონისძიებების შეფასება
	20	12	
		60%	



სტრუქტურული ცვლილებები



შესანახი თარღები



სანიტარული კვანძები და ნიჟარები



რემონტი, გარემო



სანიტარული კვანძები და ნიჟარები



გარემო



საწოლები და მატრასები



აღსაპირავი დოკუმენტაცია
შურნალები:

1. ექსპოზიციის შემთხვევათა აღრიცხვის შურნალი
2. ნარჩენების აღრიცხვის შურნალი
3. ქიმიური სტერილიზაციის აღრიცხვის შურნალი
4. სასუნთქი მოწყობილობების დეზინფექციის აღრიცხვის შურნალი

5. ჩეკისტების ფორმები
6. ნოზოკომიური ინფექციების აღრიცხვის შურნალი

პროცესები

1. სასტერილიზაციო პროცესი
2. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესი
3. თეთრეული და სამრეცხაო

4. პერსონალის ვაქცინაციის ორგანიზაციული პროცესი
5. ინფექციის კონტროლის წლიური პროგრამა
6. ტრენინგების წლიური პროგრამა
7. გენერალური დასუფთავების გეგმა

სტანდარტები

1. სტანდარტული, ანუ უნივერსალური დაცვა
2. სპეციალური, ანუ ტრანსმისიაზე დაფუძნებული დაცვა
3. უსაფრთხო ინექციის სტანდარტული პროცედურა
4. პალატების, დერეფნების, სანიტარული კვანძების დალაგება
5. საოპერაციოსა და საპროცედუროს დალაგების სტანდარტული ოპერაციული პროტოკოლი
6. ხშირად შეხებადი ზედაპირების დამუშავება - დამლაგებლები
7. ხშირად შეხებადი ზედაპირების დამუშავება - ექთანი, ექთნის ასისტენტი
8. ლარინგოსკოპის დამუშავება
9. მრავალჯერადი სამედიცინო დანიშნულების საგნების დასუფთავება, დეზინფექცია და სტერილიზაცია
10. სასტერილიზაციოს/საოპერაციოს ჩვრების მარკირების წესები
11. სასტერილიზაციოს დასუფთავება
12. დასალაგებელი ინვენტარის მოხმარებისა და შენახვის წესები
13. ლარინგოსკოპის დამუშავება
14. თეთრეულის გამოცვლა
15. თეთრეულის შეგროვება და გატანა
16. ექსპოზიციის შემდგომი მენეჯმენტი
17. ექსპოზირებული თანამშრომლის ინფორმირება და მხარდაჭერა
18. მრავალჯერადი ფლაკონიდან მედიკამენტის ამოღების წესები



ნარჩენების მართვა



რუტინული დალაგება



გენერალური დასუფთავება



ხშირად შეხებადი ზედაპირების წმენდა/დეზინფექცია								
აპარატურა, აღჭურვილობა, სხვა ზედაპირები								
ექთანი/ექთნის ასისტენტი								
აღჭურვილობა, მაგიდები, საწოლები								
IV კამპის პანელი	მონიტორ ის დილაკები	მონიტორ ის თარ სკრინი	მონიტორ ის კაბელები	სასუნთქ ი აპარატი ს პანელი	საწოლის/კი უვეზის კიდეები, თუჯირები	კვების მაგიდა (საგორავებე ლი)	სამანიპულაცი ო მაგიდა (საგორავებელ ი, საინექციო)	IV შტატივ ი



* წმენდისას გამოიყენეთ ერთჯერადი ხელთათმანი!

- 0.5% მიროდეზ ბაზის ხსარში გაყვანილი დეზუზაკის ხელსახოცებით იწმინდება დღემდე ორჯერ ყოველდღე.
- საწოლის განთავსულების შემთხვევაში და ბიოლოგიური სითხით ან სხვა ხილული დაბინძურების შემთხვევაში მაშინვე!
- გამოყენებული ჩვარი და ხელთათმანი ჩააგდეთ ინფექციური ნარჩენის კონტეინერში!
- ხელთათმანის მოხსნის შემდეგ საპნითა და გამდინარე წყლით დაიბანეთ ხელები!



- 19. ბასრი და მხვლეტი საგნების გამოყენებისა და გადაყრის სტანდარტი
- 20. ენდოსკოპების დეზინფექცია და სტერილიზაცია
- 21. სადეზინფექციო საშუალებები ზედაპირების და გარე ობიექტების დასამუშავებლად
- 22. სადეზინფექციო საშუალებები სამედიცინო ინსტრუმენტების დასამუშავებლად
- 23. ხელის ჰიგიენური და ქირურგიული დამუშავების საშუალებების გამოყენება

- 24. ნარჩენების კლასიფიკაცია, მარკირება
 - 25. ნარჩენების შეროვებისა და გატანის სტანდარტი
- თვალსაჩინოებები**
შემუშავდა 25 სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება:
- ხელის ჰიგიენის 5 მომენტი
 - სადეზინფექციო ხსნარების დანიშნულება და გამოყენების წესები
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება

- უსაფრთხო ინექციები
 - მრავალდოზიანი ფლაკონებიდან მედიკამენტის ამოღება
 - ნარჩენების კლასიფიკაცია
 - მარკირების მანიშნებლები
 - ხშირად შეხებადი ზედაპირების დამუშავება
 - ბასრი საგნების უსაფრთხოება
- ჩატარებული ტრენინგები**
- პერიოდი – 2018-2019 წწ
 - ჩატარებული ტრენინგებისა და პრაქტიკული სამუშაოების რაოდენობა – 200

ხელების ჰიგიენის 5 მომენტი

1	კამბინთან კონტაქტის წინ	რეჟიმ?	ფაინგანი ხალხი კამბინთან მუშაობის წინ
		რატომ?	რათა ფაინგანი კამბინით მუშაობის ხალხი ატარებდეს ბაქტერიოკონტამინაციას
2	საუბრა-საკაბიური პროცედურის წინ	რეჟიმ?	ფაინგანი ხალხი საუბრა-საკაბიური პროცედურის ფაინგანში
		რატომ?	რათა ფაინგანი კამბინით ბაქტერიოკონტამინაციას, მათ შორის, კამბინის კანა ატარებდეს ბაქტერიოკონტამინაციას
It is also important that for all interns at the clinic, it is important to know, study and further control the theoretical and practical skills of hand hygiene.

It is also noteworthy that Imereti region clinics celebrate "World Hand Hygiene Day" on October 15 of each year. Hand hygiene is a procedure that is relevant not only for medical institutions but for the general public. Proper and timely hand hygiene is the key to a healthy and healthy life.

Wash our hands often and be healthy!

თირკმლის მწვავე უკმარისობა ACUTE KIDNEY FAILURE

დარემჯან კაპანაძე
DAREJAN KAPANADZE

თირკმლის მწვავე უკმარისობა ხასიათდება თირკმლის ფუნქციის მწვავე დაკარგვით, რასაც თან ახლავს კრეატინინის მატება და/ან შარდის გამოყოფის შემცირება. დისფუნქციის სიმწვავე მერყეობს შრატში კრეატინინის დონის მცირე მატებით, შარდის გამოყოფის შემცირებით ან აზოტემიის ჩამოყალიბებით.

**თირკმლის მწვავე დაზიანების
ხშირი მიზეზებია:**

- პრერენული (იშემიური)
- რენული (პარენქიმული)
- პოსტრენული (ობსტრუქციული)

ეტიოლოგია

● **პრერენული თირკმლის უკმარისობა** (შემთხვევათა 55 %) – ვითარდება თირკმლის არაადეკვატური სისხლძარღვრების დროს: კარდიოგენული შოკი, გულის ტამპონადა, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, სისხლდენები (განსაკუთრებით სამეანო) ენდოტოქსიური შოკი, გაუწყლოება,

დამწვრობა და ა.შ – შეიძლება იწვევდნენ თ. მ. უ. ს.

- **რენული თირკმლის მწვავე უკმარისობა**
ვითარდება უშუალოდ თირკმლის ქსოვილის დაზიანების. მაგ: თირკმლის ანთებითი დაავადებები – მწვავე გლომერულონეფრიტი, თირკმლის არტერიის ათეროსკლეროზული ემბოლია, ანევრიზმა.
- **პოსტრენული თირკმლის მწვავე უკმარისობა**
განპირობებულია თირკმელგარე ობსტრუქციით. მაგ: შარდის ბუშტის, პროსტატის, მენჯის ორგანოების სიმსივნე, შარდსაწვეთის დახშობა კენჭით, თრომბოზით, ჩირქით.

პირითადი მარკერები:

პრეატიინინის მომატებული მაჩვენებელი, ბალიუმის იონების მომატებული რაოდენობა.

		Reference Range (normal range)	Marks allocated
Creatinine	450 µmol/l	90 - 120 µmol/l	2 marks
K ⁺	4.9 mmol/l	3.2-4.3 mmol/l	} 3 marks
HCO ₃ ⁻	17.5 mmol/l	22-31 mmol/l	
Calcium	1.8 mmol/l	2.10 - 2.50 mmol/l	} 3 marks
Phosphate	2.1 mmol/l	0.75 - 1.35 mmol/l	
Albumin	22 g/l	39 - 47 g/l	1 mark
Hb	101 g/l	120-160 g/l	1 marks



კლინიკური გამოვლინება

- შარდის შემცირებული გამოყოფა (შესაძლებელია დარჩეს ნორმაში)
- სითხის შეკავება,
- შეშუპება,
- ძილიანობა,
- სუნთქვის უკმარისობა,
- დაღლილობა,
- პირღებინება,
- კრუნჩხვა,
- კომა.
- ჰიპერკალემია, ჰიპერფოსფატემია, ჰიპონატრემია
- ინფექციები
- ფილტვების შეშუპება
- პერიკარდიტი

მკურნალობა

- ელექტროლიტების და სითხის ბალანსის კორექცია
- დეჰიდრატაციის კორექცია
- ფუროსემიდი, კალციუმის გლუკონატი, ნატრიუმის ბიკარბონატი
- დიალიზი



ჰემოდიალიზი

სისხლის გაწმენდის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება წყალში ხსნადი ნივთიერებების მიმოცვლა სადიალიზო სითხესა და სისხლს შორის, ნახევარგამტარი მემბრანის(დიალიზატორის) მეშვეობით. დიფუზიისა და ულტრაფილტრაციის გზით ხდება სისხლის გაწმენდა სხვადასხვა მოლეკულური წონის ნივთიერებებისგან ე. წ ურემიული ტოქსინებისგან, წყალმარილოვანი და მჟავატუტოვანი ბალანსის აღდგენა.

ჰემოდიალიზის უარყოფითი მხარეები:

- პრობლემური ვასკულარული მიდგომა
- ნუტრიციული და სითხის რესტრიქცია

რეზიუმე

თირკმლის მწვავე უკმარისობა

ღარმჯან კაპანაძე

თირკმლის მწვავე უკმარისობა ხასიათდება თირკმლის ფუნქციის მწვავე დაკარგვით, რასაც თან ახლავს კრეატინინის მატება და/ან შარდის გამოყოფის შემცირება. დისფუნქციის სიმწვავე მერყეობს შრატში კრეატინინის დონის მცირე მატებით, შარდის გამოყოფის შემცირებით ან აზოტემიის ჩამოყალიბებით.

სტატისტიკის თანახმად წელიწადში სხვადასხვა დიაგნოზით პოსპიტალიზირებული პაციენტების (პირველადი დიაგნოზები: მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, თავის ტვინის იშემიური ინფარქტი, გულის უკმარისობა, სეპტიცემია, სხვა სახის ინფექცია, სიმსივნეები, ჰიპერკალემია) ყველაზე ხშირ გართულებას წარმოადგენს თ. მ. უ; პროცენტულად ყველაზე დიდი ადგილი უკავია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტს და გულის ათეროსკლეროზულ დაავადებებს (38% ვითარდება მწვავე უკმარისობა); სეპტიცემია (7,9%);

თუმცა გარდა კლინიკურად გავრცელებული დაავადებებისა თ. მ. უ. ვითარდება ისეთი იშვიათი სისტემური დაავადებების დროს როგორცაა სისტემური წითელი მგლურა;

რა არის სისტემური წითელი მგლურა?:

- ჰეპარინიზაცია
- საჭირო რთული მოწყობილობების ჩართვა
- დიალიზის კურსის დროს ჰიპოტენზია
- ანემია
- ქირურგია მუდმივი ვასკულარული მიდგომისთვის
- ვიზუალური დისკომფორტი პაციენტისთვის

პრეპარატები, რომლებიც არ გამოიყენება თმშ-ს დროს !!!

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო. ანგიოტენზინ მაკოდირებელი ფერმენტის ინჰიბიტორები.

მიზეზი: არასტეროიდები თრგუნავენ პროსტოგლანდინების სინთეზს (რომლებიც კომპენსატორულად გარკვეული დროის განმავლობაში ინარჩუნებენ რენული ფილტრაციის სიჩქარეს) ავფ ინჰიბიტორების გამოყენება დაბლოკავს ანგიოტენზინის სინთეზს და გარდაქმნის რეაქციებს, რასაც ასევე კომპენსატორული მოქმედება აკისრია. კერძოდ, ვაზოკონსტრიქცია



ნუტრიციული სტატუსი

- ცილით უზრუნველყოფა
- შევლულთ ისეთი საკვები და სითხე, რომლების შეიცავს ფოსფორს და კალიუმს.
- შესაძლოა დაეიწყოთ პარენტერალური კვება

სამართო მართვა

- პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მოციროკულირე სითხის და გულის წუთმოცულობის ადეკვატურობა, რათა მოხდეს თირკმლის ნორმალური პერფუზია.
- დისბალანსირებული კვება: სხეულის მოთხოვნილებაზე ნაკლები
- ინფექციის პრევენცია



სისტემური წითელი მგლურა არის ქრონიკული, მრავალ სისტემური დაავადება, რომელიც ძირითადად ვითარდება რეპროდუქციული ასაკის ქალებში. დაავადებისთვის დამახასიათებელია ანტინუკლეალური ანტისხეულების არსებობა. კონსტიტუციური სიმპტომების გარდა ხშირად არის კანისა და სახსრების პრობლემები, შესაბამისად სეროზიტი, ნეფრიტი, ჰემატოლოგიური ციტიპენიები და ნევროლოგიური გამოვლინებები შეიძლება განვითარდეს დაავადების მიმდინარეობისას.

ადრეული დიაგნოსტიკა და კარგი მენეჯმენტი განაპირობებს ცხოვრებისთვის საშიში დაავადების ნაკლებ გავრცელებას.

SUMMARY

ACUTE KIDNEY FAILURE

DAREJAN KAPANADZE

Acute renal failure is characterized by severe loss of renal function, accompanied by an increase in creatinine and / or decreased urinary excretion. The severity of dysfunction varies with small increases in serum creatinine levels, decreased urinary excretion, or the formation of azotemia.

According to statistics, the most common complication of patients hospitalized for various diagnoses per year (primary diagnoses: acute myocardial infarction, ischemic heart attack, heart failure, septicemia, other types of infection, tumors, hyperkalemia) is ARF.

Acute myocardial infarction and atherosclerotic heart disease account for the largest percentage (38% develop acute failure); Septicemia (7.9%);

However, in addition to clinically common diseases, ART. Develops in such rare systemic diseases as systemic lupus erythematosus;

What is systemic lupus erythematosus?

Systemic lupus erythematosus is a chronic, multisystemic disease that mainly develops in women of reproductive age. Diseases are characterized by the presence of antinuclear antibodies. In addition to constitutional symptoms, there are often skin and joint problems.

Early diagnosis and good management lead to a lower prevalence of life-threatening disease.

თრომბოლიზისი THROMBOLYSIS

ნ. ცხოვრებოვი

შ. პ. ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის უფროსი ექთანი

N. TSKHOVREBOVI

რეზიუმე

თრომბოლიზისი

ნ. ცხოვრებოვი

შ. პ. ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის უფროსი ექთანი

რა არის ინსულტი?

შესაძლებელია თუარა ინსულტის მკურნალობა?!

ინსულტის პრევენცია შესაძლებელია !!!!

მოგესალმებით. წარმოგიდგინო შესაძლებელია თუ არა ინსულტის პრევენცია? დიახ შესაძლებელია და მას თრომბოლიზისი ეწოდება.

მე ჩემს პრეზენტაციაში წარმოგიდგინო შ.პ.ს. მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკაში წარმატებით ჩატარებულ პირველ თრომბოლიზისს, პაციენტის შემოსვლიდან გაწერამდე.

ვიმედოვნებ ჩემი პრეზენტაცია გამოიწვევს პუბლიკის ინტერესს.

პატივისცემით, შ.პ.ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის უფროსი ექთანი ნ. ცხოვრებოვი

SUMMARY

THROMBOLYSIS

N. TSKHOVREBOVI

What is a stroke?

Is it possible to treat stroke?!

Stroke prevention is possible !!!!

Hello. I am going to show you, if Stroke prevention is possible? Yes it is possible and it is called thrombolysis.



In my presentation, I present the first successful thrombolysis at Ltd. High Medical Technology Center, University Clinic, From patient arrival to discharge.

I hope my presentation will spark the interest of the public.

Sincerely, Chief Nurse of the Department of Emergency Medicine of the High Medical Technologies Center Ltd N. Tskhovrebovi

ტრაქეის სტენოზის მკურნალობისა და პროფილაქტია
საქმთნო მიდგომები

TREATMENT AND PREVENTION OF TRACHEAL
STENOSIS NURSING APPROACH

მარია მ ჩოხელი

შ.პ.ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის
საოპერაციოს უფროსი ექთანი

M. CHOKHELI

რეზიუმე

ტრაქეის სტენოზის მკურნალობისა და პროფილაქტია
საქმთნო მიდგომები

მარია მ ჩოხელი

შ.პ.ს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის
საოპერაციოს უფროსი ექთანი

- წარმოგიდგენთ თორაკალური ქირურგიის დეპარტამენტის მუშაობის პრინციპებს, შედეგებს და მასთან დაკავშირებულ საინტერესო მონაცემებს.
- ტრაქეის სტენოზის მკურნალობა საქართველოში დაიწყო 1998 წ. პოფ: ვახტანგ ქაცარავას ხელმძღვანელობით. ამ წლების გან. ში ჩატარებულ იქნა 800 მდე ოპერაცია. მათ შორის ჩვენი კლინიკის ბაზაზე ბოლო 5წლ. გან.-ში 200-მდე.
- ვისაუბრებთ პოსტინტუბაციურ ტრაქეის სტენოზის განვითარებაზე, დიაგნოსტიკაზე, მკურნალობაზე, საქმთნო მიდგომებზე
- სტენოზების ქირურგიული გზით გამოსწორებაზე და გართულებებზე.
- ექთნის როლი: უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლი.
- ასევე ვისაუბრებთ ახალ მეთოდებზე რომლებიც ერთობლივად შევიმუშავეთ ქირურგებთან ერთად.
- მოგაწვდით ტრაქეის სტენოზის მკურნალობის სტატისტიკურ მონაცემებს...

SUMMARY

TREATMENT AND PREVENTION OF TRACHEAL
STENOSIS NURSING APPROACH

M. CHOKHELI

- We will present the principles, results and interesting data related to the work of the thoracic surgery department
- The surgery treatment of the tracheal stenosis has been started in Georgia since 1998y. more than 800 surgery has been performed over the years, including up to 200 cases at our clinic in past 5 years.
- We will present developing, diagnostic and treatment methods of post-intubation tracheal stenosis
- Surgical management on tracheal stenosis and complications
- The role of the nurse: safety rules and infection control
- We will also present new tactics and methods that developed by our team
- We will provide our statistic results of the tracheal stenosis treatment...



სხვადასხვა

Different

სამყარო. როგორც ვალეოლოგიური განათლების
შედეგებითი უნდააქნებო

THE WORLD. AS THE COGNITIVE FOUNDATION
OF VALEOLOGICAL EDUCATION

ივ. დოლიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი

ბ. ჩახუნაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი თსსუ

IG. DOLIDZE

Doctor of Medicine, Professor, Academician, Georgian University
of Physical Education and Sports

G. CHAKHUNASHVILI

Doctor of Medicine, Professor, Academician TSMU

ყოველ ადამიანს, მათ შორის სპორტსმენებსაც გააჩნია, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, ასევე დაავადების მიმდინარეობის მისეული სპეციფიკური და თავისებურებები.

სამყარო ერთიანი სისტემაა, რომლის ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთი მათგანის ცვლილებები მსგავს მოვლენებს იწვევს მეორის განვითარებაში. ადამიანი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია და მისი ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია გარე სამყაროს განვითარებასთან და ცვლილებებთან კომპლექსში. ჩვენ ვიცით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, დემერტმა (კოსმიურმა გონმა) შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული უმაღლესი არსება – ადამიანი, მას წესები და კანონები დაუდგინა. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ, როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა, ან მზის სისტემის კანონზომიერებთა დარღვევა, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა, რადგან ადამიანი მიწიერი სამყაროს გვირგვინია და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ამიტომ ადამიანის მიერ ღვთიური წესრიგის დარღვევის თითოეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა.

ადამიანის ცხოვრება მეგაპოლისში, მის ორგანიზმზე დიდ გავლენას ახდენს, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუარესებას. ასე მაგალითად, ავტომობილი (შესაბამისად, მისი გამონაბოლქვი), კომპიუტერი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, ვიდეო, ქსეროქსი, ფაქსი, პრინტერი, სკანერი, მტვერსასრუტი, მაცივარი (შესაბამისი გამოსხივებით), უამრავი

საოჯახო ტექნიკა, ათასგვარი სადებავი, ლაქი და ა. შ. – ყოველივე ის, რითაც გარემოცულია თანამედროვე ადამიანი, გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებებს. ყოველი მათგანი, ცალკე აღებული, მავნეა, ხოლო ყველა ერთად – საშიშრელია. ეს კოქტეილი ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის დამღუპველია. სწორედ მისი შემოქმედების შედეგია მუდმივი დადღივლობის შეგრძნება, მოთენთილობა, თავის ხშირი ტკივილი, გაღიზიანება.

ადამიანი მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა, ისეთებისა, როგორცაა ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და ა. შ.), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) დარგები. ფაქტობრივად კი-ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერებით-მედიცინით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა შესახებ – „ადამიანოპათოლოგიას“ და არა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების მოძღვრებას. ჯანმრთელობა კი უნდა უნდა იყოს განხილული, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ – ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ – გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

ადამიანისათვის, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნება, ასევე დაავადების განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია მის გენოტიპზე, რაც ფაქტიზი სხეულის ინფორმაციული ველით არის „კოდირებული“. თუ ინფორმაციული ენერგეტიკული ველი დასუსტებულია, მას შეუძლია გენეტიკური კოდის



შეცვლა, რაც მიზეზი ხდება ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბების. ამ პირობებში ნებისმიერ ვირუსს (უპირატესად, ეს არის შიდსის, ონკო- და ჰეპატოვირუსები) ამა თუ იმ ხარისხით შეუძლია შეცვალოს დეზოქსირიბონუკლეინის მეჯავს კოდი და უჯრედს მიაყენოს მძლავრი „ენერგეტიკული დარტყმა“. აქ, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ნორმალური ადამიანი „ჩუმად ატარებს“ რამოდენიმე პათოლოგიურ გენს და თუ სიცოცხლის მანძილზე ის გარკვეულ პირობებში დაწყვიტდა ასეთივე სახეობის პათოლოგიურ გენთან, დაავადების სახით გამოვლინდება მომავალ თაობებში.

უძველესი დროიდანვე მიანდათ, რომ ციური სხეულები, მათი ურთიერთგანლაგება ძლიერ გავლენას ახდენდა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ ეს წარმოდგენა არც თუ უსაფუძვლოა. განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებს ემოციურ და ინსტიქტურ სფეროზე მზისა და მთვარის სხივები. მათ შეუძლიათ აგრეთვე მოაღუნონ კიდევ ადამიანი და ენერჯითაც აავსონ. მათ ადამიანის ქცევის მართვაც შეუძლიათ. მთვარე მართავს ოკეანეებსა და ზღვებს, მათ მოძრაობას. რადგან ადამიანის ორგანიზმი 80 %-ით წყლისაგან შედგება, არ არის გასაკვირი მთვარის გავლენა ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე.

კაცობრიობამ ადამიანის ორგანიზმზე და ფსიქიკაზე ზემოქმედებისა და მკურნალობის უდიდესი გამოცდილება დააგროვა. ამასთანავე, ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც ერთმლიან სისტემას, რომელიც უწყვეტ რეჟიმში დაკავშირებულია ბუნებასთან, დედამიწასთან და კოსმოსთან. დაავადებების უმეტესი ნაწილი იკურნებოდა იმ სამკურნალო საშუალებებით, რაც მხოლოდ მზადდებოდა ბალახებითა და ბუნებრივი ნივთიერებებით. საქართველოს კი გააჩნია უმდიდრესი და უსამართლოდ მივიწყებული მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა ნიჭიერმა წინაპრებმა.

ადამიანის ბუნების არსი იღუმალებით მოცულია. ის მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა, ისეთებისა, როგორიცაა ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და ა. შ.), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) დარგები. ფაქტობრივად კი ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერებით-მედიცინით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა შესახებ – „ადამიანოპათოლოგიას“ და არა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების მოძღვრებას. ჯანმრთელობა კი უნდა უნდა იყოს განხილული, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ-ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ- გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

ავადმყოფ ადამიანს ხშირ შემთხვევაში აწუხებს ფიქრები: ნუთუ სასურველი არ არის სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე, შემდგარი მხოლოდ სიკვდილის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებით? ნუთუ სიცოცხლისთვის აგრეთვე დამახასიათებელი არ არის თავისუფალი მოძრაობა? რა არის დაავადება, თუ არა

შეპოტილი თავის თავისუფლებაში სიცოცხლე? დაე სიცოცხლე კვდება, მაგრამ სიკვდილი არ უნდა ცოცხლობდეს“. აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის საინტერესო განსაზღვრა: ჯანმრთელობა – ეს არის თავისუფლებაში მყოფი ადამიანის შეუზღუდავი სიცოცხლე.

დაწყებული XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ძლიერდება მეცნიერთა ინტერესი ჯანმრთელობის პრობლემისადმი, კეთდება მცდელობები, რათა მას მიეცეს სათანადო განსაზღვრა, მაგრამ არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა წარმატებული. ჯანმრთელობა – ეს მოვლენაა, რომლის საწყისად მიჩნეულია ღრმა, დიალექტიკურად ურთიერთსაპირისპირო ადამიანის ორგანიზმის არსი, რომელშიც მორფოლოგიური სტრუქტურებისა და ფუნქციის ოპტიმალური თანაფარდობა უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ აქტივობას. ამგვარი არსი ვლინდება დაავადების დროსაც, ერთდროულად ან ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეითდება ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული შესაძლებლობები. რასაც მიყავს მის სრულ დაკარგვამდე.

მედიცინა მნიშვნელოვანია არამარტო გნოსეოლოგიური გზავნილებით: მოვლენის შემეცნებიდან მის დედაარსამდე, არამედ მიღებული დასკვნით-მოვლენის შემეცნების მცდელობიდან ადამიანმა უნდა მოახდინოს ზემოქმედება გამომწვევ ფაქტორებზე და აქტიურად შეცვალოს ორგანიზმის გაჯანსაღების მექანიზმები.

დაავადება არ უნდა იყოს განხილული ჯანმრთელობისაგან იზოლირებულ მდგომარეობად. ნებისმიერი დაავადება იწყება და მიმდინარეობს ორგანიზმში არამხოლოდ „რღვევით“ პროცესებით (პათოგენეზი), არამედ ცალკეულ მოქმედებათა სანოკენეზური მექანიზმების შესუსტებითა და მათი კომპლექსების დეზორგანიზაციით, რაც განაპირობებს ერთეულად დაავადების წინა მდგომარეობას. ე. ი. „დაავადების წინა მდგომარეობა“ – გარკვეული სანოკენეზური მექანიზმების ფუნქციური აქტივობის დაქვეითება ან მათი კომპლექსების დეზორგანიზაციაა, რასაც მიყვავართ თვითრეგულაციის დარღვევასთან და ორგანიზმის რეზისტენტობის შესუსტებასთან.

„ჯანმრთელობა“ – ეს ორგანიზმის სანოკენეზური მექანიზმების სისტემის საკმარისი ფუნქციური აქტივობაა, რომელიც გარეთა გარემოს კონკრეტულ პირობებში უზრუნველყოფს მის ოპტიმალურ ცხოველ-მოქმედებას. მრავალი მკვლევარი ჯანმრთელობას განიხილავს, როგორც ორგანიზმის უნარს მუდმივად შეეგუოს გარეთა გარემოს ცვალებად პირობებს-ფიზიკურსა და სოციალურს. როგორც ტ. სპენსერი აღნიშნავდა: „ჩვენ, ყველაზე ნაკლები ვიცით საკუთარ ჯანმრთელობაზე. ჩვენი ცხოვრებისათვის კი – ყველაზე აუცილებელია ვიყოთ ჯანმრთელი“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრით ჯანმრთელობა არის ფიზიკური, სულიერი, სექსუალური და სოციალური კეთილდღეობის სრული მდგომარეობა და უნარი შეეგუოს მუდმივად ცვალებად გარე და შიდა გარემოს პირობებში. ამასთანავე, ბუნებრივად მიმდინარეობდეს დაბერების პროცესი და არ ჰქონდეს დაავადებები და ფიზიკური დეფექტები.

ადამიანის გაჯანსაღებაზე ზრუნვა სანოლოგიის (სამედიცინო ვალეოლოგიის) მიზანს წარმოადგენს, იმ მოძღვრების თეორიულ-პრაქტიკულ განვითარებას,



რომელიც შეისწავლის ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორულ მექანიზმების ამოქმედებას გაჯანსაღების ადგილებით პროცესში, დაავადების საწყისი პერიოდებიდან გამოჯანმრთელებამდე. თანამედროვე შეხედულება ადამიანის ფუნქციურ მოწყობილობაზე უფლებას გვაძლევს ჯანმრთელობა განვიხილოთ, როგორც გარემომცველ გარემოსთან ადამიანის ჰარმონიული ზემოქმედების შედეგი, რაც პირობადებულია ინფორმაციული, ენერგეტიკული და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციური ურთიერთზემოქმედებით.

ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა უნდა იყოს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. ჯანდაცვის სისტემა და მედიცინა უპირატესად დაკავებულია დაავადებულთა პრობლემებით. პრაქტიკულ მედიცინას სჭირდება ახალი მიმართულების ძიება – მართოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამით შეინარჩუნოს ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ძლიერება. თანამედროვე ექიმის მოვალეობაა დაეხმაროს ავადმყოფს, მის ინტერესებში არ შედის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება. მედიცინა მთლიანად დაკავებულია და ვითარდება დაავადებათა პრობლემებით. ჯანდაცვის სისტემამ უნდა შეიცვალოს თავისი სტრატეგიული მიდგომა, ქვეყანა დაინტერესდეს ადამიანთა ჯანმრთელობით, თავიდან აიცილოს მთელი რიგი დაავადებები. სახელმწიფოს დევიზი უნდა იყოს „ადამიანის ჯანმრთელობიდან ერის აღორძინებამდე“. ექიმმა უნდა განსაზღვროს „ჯანმრთელობის უსაფრთხო ზონა“, შექმნას „ჯანმრთელი ადამიანის ფსიქოფიზიკური მოდელი“, თვალყურს ადევნოს ადამიანთა ჯანმრთელობას, რისგან ირდევება და რისგან უმჯობესდება მათი ჯანმრთელობა. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმ ფსიქო-ფიზიკურ მოდელზე, რომელიც დაფუძნებულია როგორც მეცნიერების მიღწევებთან, ასევე დღითიური წესრიგის დამყარების ხარისხზე. როგორც მეცნიერებას, ისე რელიგიას თავისი მოქმედების დამოუკიდებელი ასპარეზი გააჩნია. ერთი მატერიალური სამყაროს კვლევისაკენ არის მიმართული, მეორე კი სულიერი სამყაროს ჭერებისაკენ არის ორიენტირებული. რელიგია-სიცოცხლის ხეა, მეცნიერება-შემეცნების ხე. რელიგია ღმერთთან კავშირია, მეცნიერება-ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროსთან. ჯანმრთელობის მეცნიერებას, როგორც არის ვალეოლოგია, მრავალმიმენიერი ისე უყურებს, როგორც XX საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტაღდას. გასაკვირი არც ის არის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ XX საუკუნის ბოლოს წამოაყენა მედიცინის განვითარების ინტეგრალური კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა: „XXI საუკუნის მედიცინა დაცვით-მოკერებითი პოზიციიდან უნდა გადავიდეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღეგრძელობას“. მაშ, პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალისგან“ ის „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“ უნდა იქცეს, ხოლო „დაავადებათა მედიცინა“ „ჯანმრთელობის მედიცინად“ გარდაიქმნეს. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ჯანმრთელობა არ განიხილებოდა სამედიცინო მეცნიერების პრეროგატივად. ორთოდოქსული (კლასიკური) მედიცინა ყოველთვის დაკავებული იყო ავადმყოფი ადამიანების მკურნალობით. ამასთანავე, დაავადების მიმოქმედებამატიდან ადამიანების გამოყვანა ჯერ კიდევ არ

ნიშნავს, რომ მას ჯანმრთელობა დაუბრუნდა, ე. ი. სიჯანსაღის თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაშია და ნებაყოფლობით და ხალისიანად ასრულებს თავის მოვალეობებს, რაც, ცხოვრებამ (პირადულმა და საზოგადოებრივმა) დააკისრა. თანამედროვე მედიცინის პათოცენტრისტულ შეხედულებათა კვალზე პრაქტიკოსი ექიმი თავისი პროფესიული განათლებით დიაგნოსტიკურების პროცესში კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ დაავადებული ადამიანის ორგანულ პათოლოგიაზე. ასე ცალმხრივი ქმედებით მკურნალი კარგავს დაავადების სრული კლინიკური გამოვლინების რეალური სურათის აღქმას, რითაც შეუძლია დაადგინოს მოცემული დროის რეჟიმში იმ პაციენტების ჯანმრთელობის ხარისხი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელები იყვნენ. მხედველობაში მისადება ისიც, რომ დაავადების კლინიკური ნიშნების გამოუვლინებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის არსებობს მესამე (გარდამავალი) მდგომარეობა, როცა ადამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. ექიმები ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობით, როგორც წესი, არ ინტერესდებიან, რადგან ვერ ფლობენ იმ მიზანდასახულ სადიაგნოსტიკო ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ ექიმს საერთოდ არ აინტერესებს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯანმრთელ ადამიანს – ექიმის პრაქტიკული შემოქმედებითი მოდელაა. ადამიანისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას საინტერესოდ განსაზღვრავს კარლ მარქსი: „ადამიანის სხეული ბუნებით მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. რატომ მაინც ადამიანს, მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს ადამიანი, როცა ის დაავადებულია, და არა მაშინ, როცა ჯანმრთელია? იმიტომ, რომ არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმიც არის ბოროტება. მუდმივი საექიმო მეურვეობა სიცოცხლეს ბოროტად აქცევს, ხოლო ადამიანის სხეულს – სავარჯიშო ობიექტად.“

ადამიანთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზმის ბუნებრივ ძახილს არ ვუსმენთ, ყურადღებას არ ვაქცევთ მის პირველსავე განგაშს – კლინიკურ სიმპტომებს – არადა, ამგვარად მოქცევისას მოსალოდნელი დაავადება იოლად და დროულად აღიკვეთებოდა.

კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღწიეს უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა, „ჯანდაცვა“ კი არასდროს გამხდარა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზატორად. ჯანმრთელობის სისტემის დაწესებულებები დღესაც უპირატესად წარმოდგენილია კლინიკური მედიცინის ორგანიზატორებად. მთავრობამ დღემდე ვერ შეიგნო მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში. ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგნოზირება კი მეცნიერული კვლევის



გაუშლელად შეუძლებელია. მაშ, მედიცინა გადაიქცა ვიწროსპეციალიზებულ სამკურნალო დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებაზეა ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებად კი – ჯანმრთელობაზე.

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა (თანამედროვე ნოზოლოგიური ნომენკლატურის შესაბამისად) პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიადწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ვიწრო სპეციალისტები რეგულარულად იგონებენ ახალ სინდრომებს, პათოლოგიებსა და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასეთი სურათი იხატება. ამიტომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაიცავს ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულად ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობას კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და სააფთაპო ქსელში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაავადებულთა ხარჯზე. ამას ისიც ემატება, რომ იგი კერძო სტრუქტურებშია გადასული, სამინისტროს მხოლოდ სადამსჯელო ფუნქციად დარჩა და საერთოდ ვერ აკონტროლებს ჯანდაცვას. შექმნილია ელიტარული კლინიკები, მათზე წამაღწეულ ლაპარაკობენ ტელევიზორში, და რეკლამას უკეთებენ ოპერაციებს, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას და არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს დაავადება არ განჩნდეს. რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით? რატომაა მოშლილი პროფილაქტიკური მედიცინა, რაიონებში ხომ საერთოდ თითქმის ჩაგარდნილია პრევენცია და იქ სპეციალისტების დიდი დეფიციტია... . საყოველთაო დაზღვევის მოდელი ძირითადად გადმოდებულია გერმანიიდან. კი, მაგრამ ჩვენ გერმანიის დონეზე ვართ? ჯანდაცვა რას უნდა ცდილობდეს? უნდა იცავდეს სიცოცხლეს. მაშ, ესაა სიცოცხლის დაზღვევა, მაგრამ ეს დაზღვევა არის უფექტო და მიუღებელი, თუმცა, ეს რომ არ დაენერგათ, სამკურნალო დაწესებულებები გაკოტრდებოდნენ. აქ საუბარია მოსახლეობის მომსახურებაზე, ეკონომიკურად განადგურებულ, ვალების მქონე საავადმყოფოებზე, მილიონობით უმუშევარზე. ექიმი დატოვებს გამოუმუშავებაზე და, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლა, ის ან მოიხსნება, ან უხელფასოდ დარჩება. ექიმი რითაა დაინტერესებული? ავადმყოფით და თუ, ავადმყოფი არ ეყოლა, ტოვებს საავადმყოფოს. რატომაა ამდენი სიკვდილიანობა? იმიტომ, რომ რეფორმა უვარგისია. ჯანდაცვის სამინისტრო არაფერზე პასუხს არ ავებს. ამ დროს სისტემა როგორი უნდა იყოს? ყოველი ავადმყოფის გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. საავადმყოფოები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, მართვა და კონტროლი ზემოდან ხდებოდეს. აქ კი რა ხდება? ჯანდაცვის სისტემა ისეთივე ბიზნესად აქციეს, როგორც კარტოფილისა და კომბოსტოს ბიზნესი.

ისიც მოგებაზე მუშაობს და, რაც მეტი ადამიანი გახდება ავად, ბიზნესი მით უფრო მოიგებს. ადრე სამედიცინო ბიზნესი სახელმწიფოსი იყო და ფულსათვის მოსახლეობას ახმარდა, რადგან სახელმწიფო ხალხისა იყო. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა რეალურად რეფორმის გარეშე დარჩა და მისი ინტერესი გახდა ავადმყოფების რაოდენობის პროგრესული მატება. ამას კი უზარმაზარი ფული შემოაქვს მედიცინაში. ეს თანხა კი აკლდება ხალხს და იღვეება კლინიკების მეპატრონეების ჯიბეებში. ამით წილში ჰყავთ ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერს. ჯანდაცვა მოითხოვს რეალურ რეფორმას, უნდა გაიზარდოს პრევენცია და პროფილაქტიკური მედიცინა. თუ ადამიანი დაავადდა და საავადმყოფოში მოხვდა, სწორედ ეს უნდა გახდეს „განგაშის“ მიზეზი. რეფორმა გასატარებელი პოლიკლინიკებსა და სასწრაფო დახმარების ცენტრებში და, რაც მთავარია, თავად სამინისტროში, რადგან სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ამოწურა თავისი სისტემური შესაძლებლობები, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და პრინციპულად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით ცალკე – ავადმყოფებისა და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა. შ.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად თვამოხატული დადებითი მოტივაცია, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიადწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას.

ლიტერატურა

1. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, თბილისი, 2013, № 15-10-9, 52-54;
2. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 46-49;
3. ასათიანი ა. -სამყაროს ღვთიური წესრიგი და პარმონია, როგორც ადამიანის განვითარების ფაქტორი ძველი ადრეული პედაგოგიკაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, №13, 88 – 93;
4. დოლიძე ი. – ჯანდაცვის სისტემაში ჰიპერატეს ფიცი სწამთ, მაგრამ ბოლო კი – გასაკვირია, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, 2019, № 21-16-15, 33-36;
5. დოლიძე ი. – ვალეოფილოსოფია – XXI საუკუნის მედიცინის ახალი აზროვნება და მსოფლმხედველობა, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, 2018, № 20-15-14, 29 -35



რეზიუმე

სამყარო. როგორც ვალეოლოგიური ბანათლების შემცნებითი ფუნდამენტი

იბ. დოლიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი

ბ. ჩახუნაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი თსსუ

ყოველ ადამიანს, მათ შორის სპორტსმენებსაც გააჩნია, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, ასევე დაავადების მიმდინარეობის მისეული სპეციფიურობა და თავისებურებები.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ვრი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად თვამოხატული დადებითი მოტივაციის, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიადვიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას.

SUMMARY

THE WORLD. AS THE COGNITIVE FOUNDATION OF VALEOLOGICAL EDUCATION

IG. DOLIDZE

Doctor of Medicine, Professor, Academician, Georgian University of Physical Education and Sports

G. CHAKHUNASHVILI

Doctor of Medicine, Professor, Academician TSMU

Every person, including athletes, has the specifics and characteristics of maintaining health, as well as the course of the disease.

The only way for any human being, nation and humanity to be healthy – is to change one’s attitude towards one’s health. He has to make his own choices: health or illness.

A person should have a strong positive motivation towards his health, because only a healthy person can reach the highest level of the hierarchy of needs – self-realization.

ადამიანის ჯანმრთელობის რეზერვების ამოქმედების მექანიზმების არსი

ACTIVATION OF HUMAN HEALTH RESERVES THE ESSENCE OF THE MECHANISMS

იბორ დოლიძე

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ბიორბი ჩახუნაშვილი

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

IGOR DOLIDZE

Professor, Doctor of Medicine

GEORGE CHAKHUNASHVILI

Professor, Doctor of Medicine

დღეს, დადგა ის დრო, რომ ჯანმრთელი ადამიანი სამედიცინო კვლევის ობიექტად უნდა გაეხადოთ და ექიმებმა უნდა დაიწყოთ “დაავადების ისტორიის“ გარდა, „ჯანმრთელობის ისტორიის“ შედგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები, რათქმა უნდა, მის ახალ პირობებთან შეგუების ხარისხის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ჯანმრთელობის ძირითადი ნიშანი არის ორგანიზმის მაღალი შემგუებლობა გარეთა გარემოს ცვალებად პირობებთან, ე. ი. ჯანმრთელობა ორგანიზმის ისეთი მდგომარე-

ობაა, როდესაც ყველა მისი ორგანო და სისტემა გაწონასწორებულია გარეთა გარემოს პირობებთან და ამასთან ადამიანს არ აღენიშნება დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები

დღეს, სიცოცხლის მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია ენერგია, თუმცა ამაში, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულია მეცნიერთა დიდი ნაწილი და ვერც მოუძებნეს კონკრეტული ახსნაც. .

ქალის ორგანიზმში, როცა ჩვილი ჩაისახება, მას მექანიკური გზით წინაპრებისაგან გადაეცემა ცხოველმომქმედების პროგრამა: როგორი უნდა იყოს, რისი



უნარი ექნება, რით იცხოვრებს? ამ პროგრამას ენერგეტიკის სახით დედის მუცელში ჩასახული არსება იღებს. ამიტომაც გამოთქმა: მშობლები შვილებთან ერთმანეთთან დაკავშირებულია გენეტიკურად ანუ ენერგეტიკულად. გენეტიკური კოდი, რომელიც განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს გადაეცემა, ადამიანის დაბადებას ანუ თავის სხეულს ელოდება. კოსმოსი ბავშვს კოდს ჩასახვისას, მაშინვე აძლევს. მაშინ, როცა ქალი იცილებს ნაყოფს (ე. ი. იკეთებს აბორტს), გენეტიკური კოდი პატრონის გარეშე რჩება. ის კოსმოსიდან მიღებული ინფორმაციით შეიძლება სხვა დაუუგეგმავ ჩანასახში მოხვდეს. თუ ბავშვი იმ გენეტიკურ ნივთიერებაზე არ იზრდება, რომელიც მისი ზრდა-განვითარებისათვისაა საჭირო, მოსალოდნელია ოჯახში განვითარდეს უცნაური მოვლენები. მეცნიერებმა რეკარნაციული კვლევებით აღმოაჩინეს, იმ ბავშვებს, რომლებიც თანდაყოლილი დეფექტით იბადებოდა, თითოეულს წარსულ ცხოვრებაში სიცოცხლე თვითმკვლელობით ჰქონდათ შეწყვეტილი, ე. ი. ყოველმა მათგანმა დაარღვია ის კოდი, რომელიც მიეცათ ღმერთისაგან და კოსმოსისაგან, ამიტომ, ისინი ორმაგად ისჯებიან – კვლავ იბადებიან და თანაც ფიზიკური ნაკლით.

ღმერთიდან გადმოსული ინფორმაცია წარმოშობს ენერგიას, ენერგია ბალებს მატერიას, მატერია ირღვევა და უბრუნდება ინფორმაციულ საწყისს. სამეაროში ასეთივე სქემით ვითარდება ნებისმიერი პროცესი, ცივილიზაციაც კი. ადამიანის ჯანმრთელობა – ორგანიზმში არსებული ორგანოებისა და სისტემების რეზერვების მაქსიმალური მუშაობის უნარიანი ფუნქციების ხარისხობრივი შენარჩუნებაა. ორგანიზმის ფუნქციური რეზერვების სისტემა სამ ქვესისტემად იყოფა:

ბიოქიმიური, რომელიც წარმოიშობა ნივთიერებათა ცვლის პროცესში;

ფიზიოლოგიური, რაც განთავსებულია უჯრედებში, ქსოვილებში და ორგანოებში;

ფსიქიური.

1-ში იგულისხმება ორგანოებისა და სისტემების ფუნქციის გაძლიერება (ყოველდღიური მუშაობის პროცესში, წამიერი გადასვლა მოსვენებიდან აქტიურ სამუშაო მდგომარეობაში).

2-ში ჩართვა ხორციელდება ე. წ. ექსტრემალურ პირობებში (ხეჭარბი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვებისას), რომელშიც დამატებით ირთვება ემოციების მექანიზმები.

3-ში რეზერვები მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა ორგანიზმი იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში, სიცოცხლის შენარჩუნების ბრძოლის პირობებში.

ენერგეტიკულ რეზერვებს იღებს მხოლოდ პირველი ორი ფაზა.

ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს ბიოენერგეტიკული რესურსების მატების ფონზე. დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქმედების ძირითადი პირობაა – გარეთა გარემოდან ენერგიის შთანთქმის უნარი, მისი აკუმულირების შესაძლებლობა და ცხოველმოქმედების პროცესებისთვის გამოყენება. რამდენადაც მაღალია გამოყენებისათვის მისაწვდომი ბიოენერგეტიკული რეზერვები, მით უფრო სიცოცხლის უნარიანი ორგანიზმი, რადგან სიცოცხლე ნარჩუნდება ენერგიის ხარჯვით.

ადამიანის ჯანმრთელობა არ წარმოადგენს ერთხელ, ბუნებისაგან (ღმერთისაგან) მუდმივად და უცვლელად მინიჭებულ საჩუქარს, ის მოითხოვს ყოველდღიურ მზურნველობასა და მის შენარჩუნებას.

ადამიანის ორგანიზმს გააჩნია მძლავრი დაცვით-მოვიერებითი ხელსაწყოები. კანი და ლორწოვანი გარსები იცავს, როგორც მექანიკური, ასევე თერმული და ქიმიური დაზიანებებისაგან, ისევე, როგორც ინფექციის შეღწევისაგან. სუფთა კანი მიკრობების განვითარებისათვის წარმოადგენს არაკეთილსასურველ გარემოს. საშიშია დაზიანებები, უმთავრესად დაბინძურებული კანისგან, რადგან მიკრობებს შეუძლია მისგან შეიჭრას ქსოვილების სიღრმეში, მოხვდეს სისხლში. დათვლილია ის, რომ აბაზანაში ადამიანის კანიდან ჩამოირეცხება სხვადასხვა მიკროორგანიზმების 20 მილიონიდან მილიარდებამდე რაოდენობა.

დაცვითი რეფლექსები ხველის, ღებინების, დაცემინების, თვალის სახამხამო რეფლექსის, ცრემლდენის სახით აგრეთვე თავისობრივად წარმოადგენს დაცვით შეგუებას ორგანიზმში მიკრობების, შხამების, უცხო სხეულების მოხვედრის საწინააღმდეგო რეაქციას.

დაცემინებისა და ხველების დროს ლორწოსთან ერთად გამოიღვენება არამარტო უცხო ნაწილაკები, არამედ მიკრობების დიდი რაოდენობა; ტუბერკულოზის, გრიპის, პნევმონიის დროს ნახველთან ერთად გამოიყოფა მიკრობების უზარმაზარი რაოდენობა.

ცრემლი, ნერწყვი და ნახველი შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერებას – ლიზოციმს. რომელიც უნარიანია განაზავოს გონოკოკები, მენინგოკოკები, ქოლერის ვიბრიონები და სხვა დაავადების გამომწვევი ბაქტერიები. კუჭისა და ნაწლავების საჭმლისმომწელებელ წვენებს, გააჩნია რა ბაქტერიომკვლელის თვისებები, ამავე დროს ხელს უწყობს ორგანიზმიდან დამაავადებელი აგენტების გამოდევნას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში პათოფიზიოლოგიის პროფესორი ე. ვ. პოდვისოცკი (1881) აღნიშნავდა, რომ წარმოუდგენელია აბსოლუტური ჯანმრთელობა და აბსოლუტური დაავადება, მათ შორის არსებობს ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგადასვლის უსასრულო, მრავალრიცხოვანი ფორმები. უხეში ანალოგიით ჯანმრთელობისა და დაავადების ურთიერთშეფარდების პროცესები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ზიარი ჭურჭლების სისტემის ფუნქციონირება: რამდენადაც მაღალია ჯანმრთელობის დონე, მით ნაკლებია პათოლოგიური პროცესის განვითარებისა და მანიფესტაციის შესაძლებლობები, და პირიქით. პათოლოგიური პროცესის გამოვლინება და მისი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღინიშნება ჯანმრთელობის მექანიზმების მოქმედების უკმარისობა, მათი შესუსტება ან მოქმედი, პათოლოგიური ფაქტორის სიძლიერე. მხოლოდ ჯანმრთელობის შეფასების რაოდენობრივი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეიძლება მიზანმიმართული დისკუსიის წარმოება, მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირებისა და მისი განმტკიცების ამოცანის დასმა და გადაწყვეტა.

პათოლოგიის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს ჯანმრთელობის ბიოენერგეტიკული რესურსების დაქვეითების ფონზე. დედამიწაზე ყველა ცოცხალი



არსების ცხოველმოქმედების ძირითადი პირობაა – გარეთა გარემოდან ენერჯის შთანთქმის უნარი, მისი აკუმულირების შესაძლებლობა და ცხოველმოქმედების პროცესებისთვის გამოყენება. რამდენადაც მაღალია გამოყენებისათვის მისაწვდომი ბიოენერგეტიკული რეზერვები, მით უფრო სიცოცხლისუნარიანია ორგანიზმი, რადგან სოცოცხლე ნარჩუნდება ენერჯის ხარჯვით.

ადამიანის ორგანიზმის შიდა გარემოს მუდმივობა, რომელიც ჰომეოსტაზის ტერმინით არის ცნობილი, წარმოადგენს ოპტიმალური ცხოველმოქმედების აუცილებელ პირობას. ამით, უნდა იყოს შენარჩუნებული ბიოლოგიური სისტემების შედარებითი სტაბილურობა, როგორც გარეთა, ასევე შიდა გარემო ფაქტორების ზემოქმედების პირობებში. ორგანიზმში განვითარებული ფიზიოლოგიური რეაქციები უზრუნველყოფს ორგანიზმის შეგუებას გარემომცველ გარემოსთან, რაც მიმართულია ბიოლოგიური სახეობის გადასარჩენად, რომელიც გამოქმედდა ფილო- და ონტოგენეზის მიმდინარეობის პროცესში და მიეკუთვნება შეგუებით ფაქტორს. განსაკუთრებული დიდი ფაქტორების ზემოქმედებისას ორგანიზმში ვითარდება ნაწილობრივი სტრუქტურული დაზიანებები, რომელსაც მოქმედებაში მოყავს ის ფიზიოლოგიური რეაქციები, რომლებიც უზრუნველყოფს დარღვეული ფუნქციების კომპენსირებას (კომპენსატორული ფაქტორი).

კომპენსაცია დაპირისპირებული არ არის შეგუებით ცნებასთან – ეს არის ერთ-ერთი კერძო შეგუებითი ფორმის გამოვლინება კონკრეტულ ინდივიდუუმში. ეს ფილოსოფიური ცნებები ერთმანეთთან ისევე არიან დამოკიდებული, როგორც ზოგადი კერძოსთან. მედიცინაში კომპენსაციის ცნება სუფთა ლოგიკური ხასიათისა და გამოყოფილია დეკომპენსაციის ცნებიდან (ან პირიქით): მხედველობაში აქვთ დარღვეული წონასწორობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, ის ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც ორგანიზმს უზრუნველყოფენ დაკარგული სტრუქტურების აღდგენას და დარღვეული ფუნქციების შევსებას პათოლოგიის პირობებში, დასაშვებია მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება შემდეგი დასახელებით: „კომპენსატორულ-შეგუებითი პროცესი“.

ფიზიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანი ცოცხლობს ნერვული უჯრედების იმ რაოდენობით, რომელიც მან მიიღო დაბადებისთანავე. ამ 10-14 მილიარდი უჯრედიდან, ნაწილი იღუპება ორგანიზმის ცხოველმოქმედების პროცესში. მაინც, რამდენი ? დღეში – ათეული ათასი. ბევრია, ხომ მართალია ! მიუხედავად ამისა, მსგავსი დანაკლისი არ აისახება თავის ტვინის მიერ, შესრულებული ფუნქციის ხარისხზე. როგორც ვხედავთ, ბუნებამ იზრუნა არა მცირე მარაგზე ტვინის მუშაობის სიმტკიცის მხრივ!

ჯანმრთელობის მეცნიერება, რომელიც წარმოადგენილია ვალეოლოგიის (სანოლოგიის) სახით, კვლევის ობიექტად განიხილავს პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს, რომელიც მიეკუთვნება პირამიდული ტიპის ბიოენერგო-ინფორმაციულ სისტემას და შედგება სამი ქვესისტემისაგან: სულიერი, ფსიქიური და ფიზიკურისაგან. სამწუხაროდ, ექიმის შესაძლებლობები მოახდინოს ზემოქმედება ადამიანის სულიერ სფეროზე საგრძობლად შეზღუდულია. კლასიკური მედიცინა ამ სფეროში, განსხვავებით აღმოსავლური მედი-

ციინისაგან მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რადგან მეცნიერულად არა აქვს დამუშავებული სულიერ სფეროში არსებული პრობლემური საკითხები. უნდა გვახსოვდეს, რომ კლასიკური (სახელმწიფოებრივი) მედიცინა ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

გამლიზიანებლების შეღწევის პასუხად აქტიურდება ადვილობრივი დაცვითი ბარიერები – ეს არის ლიმფური სისხლძარღვები და კვანძები ინფილტრაციულ (ლეიკოციტარულ) ფონზე. ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნების პროცესში ერთვება სანოგენეზური მექანიზმები, როგორც პირველადი, ასევე მეორადი.

პირველადი მექანიზმები ატარებს ნორმალური ფიზიოლოგიური რეაქციების კომპლექსს, ისინი არსებობენ ინტაქტურ, ჯანმრთელ ორგანიზმში და მხოლოდ ასრულებენ სანოგენეზურ როლს პათოგენური აგენტის ორგანიზმში ზემოქმედების პირობებში.

მეორადი სანოგენეზური მექანიზმები არ არის ჩართული ნორმალურ, ჯანმრთელ ორგანიზმში. ის ჩამოყალიბებას იწყებს მხოლოდ პათოლოგიის განვითარების პროცესში, როცა ორგანიზმში იწყება „მსხვერვითი“ რეაქციები.

პირველადი მექანიზმები შეიცავს ადაპტაციურ, დაცვით და კომპენსატორულ ფიზიოლოგიურ რეაქციებს. ადაპტაციურ მექანიზმებში იგულისხმება ორგანიზმის შეჩვევა, შეგუება ახალ სასიცოცხლო პირობებთან, რომელიც წარმოიშვა პათოგენური აგენტის ზემოქმედების შედეგად. პირველადმა სანოგენეზურმა მექანიზმებმა უნდა შეძლოს ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება, რათა მასში არ წარმოიშვას ჯანმრთელობისა და დარღვეული ფუნქციების სიცოცხლესთან შეუთავსებლობა. სიტყვა ადაპტაცია წარმოშობილია ლათინური ენიდან “ადაპტაციო”, რაც ქართულად ნიშნავს შეგუებას (შეჩვევას).

ყოველი ჩვენთაგანისათვის ცნობილია ორგანიზმის ფიზიოლოგიური ადაპტაციის არსი. მაგალითისთვის ავიღოთ სირბილი, ჩვენ გვინდა დავეწიოთ დაძრულ მატარებელს. ამ დროს ადამიანის ორგანიზმში დაუყოვნებლივ ღრმავდება სუნთქვა და ხშირდება გულისცემა (პულსი). რისთვის? საქმე იმაშია, რომ სირბილის დროს მკვეთრად იზრდება კუნთური მუშაობა, ეს კი მოითხოვს გაზრდილ ენერგეტიკულ უზრუნველყოფას, კუნთებს სჭირდება მეტი ჟანგბადი, მეტი საკვები ნივთიერებები, რაც სისხლის საშუალებით უნდა მიეწოდოს. გახშირებული და გაღრმავებული სუნთქვა აძლიერებს სისხლის ოქსიგენაციას, ე. ი. სისხლს აჯერებს ჟანგბადით. გახშირებული პულსი იმაზე მიუთითებს, რომ გულმა დაიწყო გახშირებული კუმშვაობა, რათა დროის მოკლე მონაკვეთში უფრო მეტი სისხლი მიაწოდოს კუნთებს, რათა დროულად მიიღოს მეტი ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები. ამგვარად, ორგანიზმი განიცდის ადაპტირებას, შეგუებას გარეთა გარემოს ცვალებად პირობებთან.

ჰომეოსტაზის დაცვის მიზნით ანალოგიური სიტუაცია ვითარდება ყველა შემთხვევაში მაშინ, როცა მოქმედებას იწყებს პირველადი ადაპტაციური სანოგენეზური მექანიზმები, რომლის პირობებში ორგანიზმი ადაპტირებას განიცდის პათოგენური ფაქტორის ზემოქმედების მიმართ. მაგალითად, ავადმყოფის ცხელებისა და გარეთა გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს აღნიშნება გაძლიერებული ოფლდე-



ნა, სრული დატვირთვით მუშაობას იწყებს საოფლე ჯირკვლები, ოფლი კანის ზედაპირიდან ინტენსიურად ორთქლდება, აორთქლებულ ზედაპირს აკლდება სითბო, მკვეთრად ფართოვდება კანის სისხლძარღვები, ხშირდება პულსი და კანის გაფართოებული სისხლძარღვებიდან გარეთა გარემოში გამოიყოფა სისხლში არსებული დიდი რაოდენობის სითბო (სითბო, რომელიც ცირკულირებს ორგანიზმის შინაგან ორგანოებში). ოფლდენის დროს მკვეთრად გახშირებული და გაღრმავებულია სუნთქვა, რის მეშვეობით ფილტვებიდან დიდი რაოდენობით გამოიდევენება გამოთბარი ჰაერი. ყველა ეს მოქმედებები საშუალებას აძლევს ორგანიზმს იმუშაოს მკვეთრად მომატებულ ტემპერატურის პირობებში. ანატომიური ბარიერით წამოდგენილია კანი და ლორწოვანი გარსები. არამარტო მათი მთლიანობა, არამედ გამოყოფილი საოფლე, ცხიმოვანი და სხვა ჯირკვლები, რომელთა გამოყოფილი სეკრეტი ორგანიზმს იცავს მიკრობების ჩანერგვისაგან.

დავუშვათ, რომ ადაპტაციური მექანიზმები აღმოჩნდა უძლური და პათოგენურმა აგენტმა შეაღწია ორგანიზმის შიდა გარემოში და ამ დროს შესაძლებელია განვითარდეს დაავადება? არავითარ შემთხვევაში! ბრძოლაში ჩაერთვება სანოგენეზური მექანიზმების შემდეგი ხაზი – დაცვითი, სანოგენეზური მექანიზმების ეს ჯგუფი ან ლოკალიზებას გაუკეთებს პათოგენურ აგენტს შეაღწიოს ორგანიზმის რომელიმე უბანში ან ის გამოდევნოს ორგანიზმიდან. მაგალითად, ადამიანმა საკვებით მიიღო რაღაც მანე ნივთიერება ორგანიზმისათვის, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დაავადება. ამ შემთხვევაში, მაშინვე დაიზიანდება კუჭის ნერვული რეცეპტორები, ნერვული დაბოლოებები, რომელიც განთავსებულია კუჭის კედელში. ეს გაღიზიანება წარმოშობს ღებინებას, საიდანაც გამოიდევენება კუჭში მოხვედრილი შხამიანი ნივთიერებები. ე. ი. ამოქმედდება სანოგენეზის დაცვითი მექანიზმი – პათოლოგიური გამღიზიანებლის ორგანიზმიდან გამოდევნის მექანიზმი.

დაცვითი მექანიზმები წარმოდგენილია სხვადასხვა ევოლუციურად გამოქმენებული მექანიზმებით, რომლებიც პასუხისმგებელია ორგანიზმის დაცვაზე მასზე სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორების, როგორც ეგზოგენური, ასევე ენდოგენური წარმოშობის ზემოქმედებების დროს. ასეთი მექანიზმები არსებობს და თავის დაცვით მოქმედებას რეალიზებას უკეთებს სიცოცხლის პროცესს არამარტო ჯანმრთელ, არამედ დაავადებულ ორგანიზმში. სხვადასხვაგვარი დაცვითი მექანიზმების უზრუნველყოფა განპირობებულია:

ორგანიზმში მრავალი პათოგენური ფაქტორების ჩანერგვისა და დამაზიანებლების ორგანიზმზე ზემოქმედების თავიდან აცილებით;

პათოგენურ ფაქტორებთან ერთად წარმოშობილი დაზიანებების ლოკალიზაცია;

როგორც ეგზოგენურად, ასევე ენდოგენურად წარმოშობილი პათოგენური ფაქტორების რღვევა (განადგურება), ხოლო ეს ნიშნავს მაკროორგანიზმზე მათი დამაზიანებელი მოქმედების შეწყვეტას.

კომპენსატორული მექანიზმები ირთვება და აქტიურდება დაკარგული ან მკვეთრად დარღვეული სტრუქტურებისა და ფუნქციების ჩანაცვლების მიზნით. ეს მექანიზმები ვითარდება, როგორც წესი, ან წარმოშობილი პათოლოგიური პროცესების ფონზე

ორგანიზმის სისტემებს, ორგანოებს, ქსოვილებსა და უჯრედებს ან ორგანიზმსა და გარეთა გარემოს შორის დარღვეული წონასწორობების შედეგად. მაგალითად, კენტი ორგანოს ან წვეილი ორგანოებიდან ერთი მათგანის ნაწილის დაზიანებისას დარჩენილი დაუზიანებელი ღვიძლის, თირკმლების, თირკმელზედა ჯირკვლების, სათესე ჯირკვლის, საკვერცხის და სხვა ორგანოების უჯრედულ-ქსოვილოვანი სტრუქტურები განიცდის ჰიპერტროფიის, დარღვეული მორფოლოგიური წარმონაქმნების კომპენსირებული ფუნქციების განვითარების პროცესს.

შემგუებლობითი (ტეშმარიტად ადაპტაციური ან ადაპტური) მექანიზმები, ისევე როგორც დაცვითი მექანიზმები ყოველთვის არსებობს ჯანმრთელ ორგანიზმში, და, როგორც წესი, აქტიურდება დაავადებულ ორგანიზმში. ეს მექანიზმები, პირველ რიგში, აფერხებს წარმოშობილი წონასწორობის გადახრას როგორც ორგანიზმის შიგნით, ასევე ამ უკანასკნელსა და გარეთა გარემოს შორის; მეორე შემთხვევაში, ასუსტებს და ნორმალდე აბრუნებს ამ დარღვეულ წონასწორობას როგორც ქსოვილებს, ორგანოებსა და ორგანიზმის შიდა სისტემებსა და აგრეთვე, ორგანიზმსა და გარეთა გარემოს შორის.

დაავადების პათოგენეზის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაცვით მექანიზმებს, ევოლუციის პროცესში გამოქმენდა: ბარიერული წარმონაქმნები, შემგუებლობითი და კომპენსატორული რეაქციები.

ბარიერები – ეს არის მორფოლოგიური და მორფო-ფუნქციური წარმონაქმნები, რომლებიც იცავს ორგანიზმს პათოგენური ფაქტორების ზემოქმედებისაგან. მათ მიეკუთვნება კანი, ლორწოვანი გარსები, თავის ქალას ძვლოვანი საფარველი, მუცლის წინა კედელი, ნაწლავები, რეტიკულო-ენდოთელური სისტემა – ყველაფერი ეს მორფოლოგიური წარმონაქმნები, მორფო-ფუნქციური ბარიერები მიეკუთვნება ჰისტოჰემატურ და ჰემატოენცეფალურ ბარიერებს. ისინი თავისთავად წარმოადგენენ შემაერთებულ ქსოვილოვანი ელემენტებისა და კაპილარების ერთობლიობას, რომელიც იმყოფება სისხლსა და ქსოვილებს შორის, და აგრეთვე სისხლს, თავზურგტვინის სითხესა და თავის ტვინს შორის. ჰისტოჰემატური ბარიერი უზრუნველყოფს შემაღვნილობისა და ქსოვილოვანი სითხის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მუდმივობას, და აგრეთვე მასში აფერხებს უცხო ნივთიერებების სისხლიდან გადასვლას. ჰემატოენცეფალური ბარიერი იცავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აფერხებს უცხო ნივთიერებების ან დარღვეული ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების შეჭრას ლიქვორში, რომელიც სისხლშია შესული. ბარიერები თავიდან აცილებს დაავადების წარმოშობასა და განვითარებას, ხოლო მათი წარმოშობისას ზღუდავენ პათოგენური ფაქტორის გავრცელებას, ლოკალიზებას უკეთებს დაზიანებულ კერას.

დაცვით-კომპენსატორული მექანიზმები ირთვებიან მანე ფაქტორების ზემოქმედებისას და წარმოდგენილია უპირობო (პირობით რეფლექტორული რეაქციებით) რეფლექსებით. უპირობო რეაქციები მიმართულია ორგანოსა და ქსოვილის პათოგენური ფაქტორის (ხველა, ცხვირის დაცემინება, თვალის ხამხამი, სისხლძარღვების სპაზმი და ა. შ.) კონტაქტიდან განთავისუფლებისკენ.





მაგნე ფაქტორთან განმეორებით კონტაქტისას ვითარდება პირობით-პათოგენური რეაქცია (გახშირებული გულისცემა, არტერიული წნევის მომატება, ნერწყვდენა, ცრემლდენა). პირობით-პათოგენური რეაქციების მოქმედება მეტად ხანგრძლივია. კომპენსატორული პროცესები წარმოიშობა პათოგენური ფაქტორის ხანგრძლივი

ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედების აღდგენის პროცესი, დაავადებულ ორგანიზმში მოქმედებისას და ხასიათდება ორგანოს ჰიპერტროფიის განვითარებით, რეზერვული უჯრედების ჩართვით, რეპარატული რეგენერაციით (ერითროციტების, ლეიკოციტების დაჩქარებული წარმოქმნა, კარდიომოციტების მიოფიბრილებისა და მიტოქონდრიების ახალწარმოქმნა), წყვილი ორგანოების (თირკმლები, ფილტვები) ან ორგანოსა და სისტემის, მომიჯნავე ორგანოების (ღვიძლის და შარდგამომყოფი სისტემის) ფუნქციების გაძლიერება.

გამოჯანმრთელების მექანიზმები. გამოჯანმრთელება – ეს არის დაავადების შემდეგ დარღვეული ფუნქციების აღდგენა და მისი შეგუება გარემომცველ გარემოსთან. გამოყოფენ:

სწრაფი არამდგრადი (ავარიული) მექანიზმები. ისინი წარმოდგენილია დაცვითი რეფლექსებით – მაგალითად, სტრესის დროს გლიუკოკორტიკოიდებისა და კატექოლამინების გამოყოფა;

შედარებით მდგრადი მექანიზმები, ზემოქმედებენ დაავადებულ ნორმალურობის მიმდინარეობის მთელ პერიოდში: აღინიშნება რეზერვული უჯრედების – ლეიკოციტების მატება, ერითროციტოზი; რეგულირებული სისტემების ჩართვით დგინდება თბოპროდუქციის დაქვეითება გარემომცველი გარემოს მომატებული ტემპერატურისას.

გახანგრძლივებული მდგრადი მექანიზმები – კომპენსატორული ჰიპერტროფია, რეპარატული რეგენერაცია, ანტიხეულების გამომუშავება, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში პლასტიური თვისებების ცვლილებები, დაცვითი შეკავება, პირობითი რეფლექსების გამომუშავება და უპირობო რეფლექსების გაძლიერება. პათოგენუზის მექანიზმების ცოდნა უზრუნველყოფს ავადმყოფის საიმედო მკურნალობას და დაავადების პროფილაქტიკას. პათოგენეტური თერაპიის პრინციპები შეიცავს სიმპტომატურ თერაპიას, დეზინტოქსიკაციურ და იმუნოდეპრესიულ თერაპიას; მკურნალობას, რომელიც მიმართულია ორგანიზმის რეზისტენტობის გასაძლიერებლად; ტიპური პათოლოგიური პროცესების დროს დესენსიბილიზაციასა და მიზნობრივ თერაპიას.

თანამედროვე მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ადამიანის ორგანიზმში არსებულ დრმა საიდუმლოებას წარმოადგენს მასში მიმდინარე ბიოენერჯის დაგროვების პროცესი, თუმცა გარკვეულწილად ჩვენთვის ცნობილია, რომ ე. წ. მიტოქონდრიები (უჯრედშიდა ენერჯის შექმნელი „მიკროფაბრიკები“) ადამიანის ორგანიზმში ასრულებენ ენერჯის შექმნის ფუნქციას, რაზედაც დამოკიდებულია ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედება. თუმც არსებობს სხვა მოსაზრებაც, მაგალითად, მღვდელმთავარ ლუკას (კონინო -იასენეცკის) გამოხატულებაში: „სიყვარულის ენერჯით, რომელიც ღმერთის ყოვლადკეთილი ნებით გადმოიღვრება, ღმერთის სიტყვით დასაბამი მისცა ენერჯის ყველა დანარჩენ ფორმას, რომლებმაც, თავის

მხრივ, თავდაპირველად ნაწილაკები წარმოქმნეს, ხოლო შემდეგ მათი მეშვეობით – მთელი მატერი-ალური სამყარო“.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებს გააჩნია გარკვეული ხასიათის წარმოდგენა ორგანიზმის ბიოენერგეტიკულ პროცესებზე, სადაც დასაბუთებულია ადამიანის ორგანიზმში დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ჩართვის ეფექტურობა ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. აქვე, აღიარებულია ისიც, რომ ორგანიზმი თავისი სიცოცხლისათვის საჭირო ენერჯიას იღებს, როგორც ბიოსფეროდან (ჰაერის, წყლის, საკვების სახით), ისე კოსმოსიდან. ადამიანის ორგანიზმი თავისი სხეულისათვის საჭირო ენერჯიის ორ მესამედს იღებს კოსმოსიდან (ამ მოვლენას მართლმადიდებლები მიიჩნევენ ღმერთის წყალობად, ინდოელი იოგები კი „პრანად“), რაც ხმარდება როგორც ორგანიზმის (სუნთქვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდსასქესო და ა. შ.) მუშაობის შესრულებას, ისე ადამიანის სოლიდარული შენარჩუნებისა და მისი ფსიქიკური მოღვაწეობის ადექვატობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

მღვდელმთავარი ლუკა (ვონინო – იასენეცკი) – „მეცნიერება და რელიგია“, „სული, სამშეინველი და სხეული“ თბილისი, 2003, 145 გვ.

Н. А. Агаджанян, А. Ю. Катков – Резервы нашего организма, Изд-во „Знание“ М., 1990, 233 стр.

იგ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი – სანოვაციისა და გაჯანსაღების მექანიზმების რეგულაციის პრინციპები // ბავშვთა კარდიოლოგია № 10 38 – 42

იგ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი – ნორმის ფენომენი პრაქტიკულ მედიცინაში // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, თბილისი 2017, № 19-14-13, 47– 51.

ლიტერატურა საბავშვო მოხსენების:

სამყარო, როგორც ვალეოლოგიური განათლების შემეცნებითი ფუნდამენტი

ი. დოლიძე, ჩახუნაშვილი გ. – ვალეოლოგია (სანოვაციისა -სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, თბილისი, 2013, № 15 – 10– 9, 52 -54;

ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი – მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოვაციის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 46-49;

ა. ასათიანი – სამყაროს ღვთიური წესრიგი და პარმონია, როგორც ადამიანის განვითარების ფაქტორი ძველი აღთქმის პედაგოგიაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014 № 13, 88-93;

ი. დოლიძე – ჯანდაცვის სისტემაში ჰიპოკრატეს ფიცი სწამთ, მაგრამ ბოლო კი – გასაკვირია, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2019, № 21-16-15, 33-36;

5 ი. დოლიძე – ვალეოფილოსოფია – XXI საუკუნის ახალი აზროვნება და მსოფლმხედველობა, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2018, № 20-15-14, 29-35.



რეზიუმე

ადამიანის ჯანმრთელობის რეზერვების ამოქმედების მექანიზმების არსი

იგორ დოლიძე

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ბიორბი ჩახუნაშვილი

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

დღეს, დადგა ის დრო, რომ ჯანმრთელი ადამიანი სამედიცინო კვლევის ობიექტად უნდა გავხადოთ და ექიმებმა უნდა დაიწყოთ „დაავადების ისტორიის“ გარდა, „ჯანმრთელობის ისტორიის“ შედგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, მის ახალ პირობებთან შეგუების ხარისხის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ჯანმრთელობის ძირითადი ნიშანი არის ორგანიზმის მაღალი შემგუებლობა გარეთა გარემოს ცვალებად პირობებთან, ე. ი. ჯანმრთელობა ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ყველა მისი ორგანო და სისტემა გაწონასწორებულია გარეთა გარემოს პირობებთან და ამასთან ადამიანს არ აღენიშნება დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებს გააჩნია გარკვეული ხასიათის წარმოდგენა ორგანიზმის ბიოენერგეტიკულ პროცესებზე, სადაც დასაბუთებულია ადამიანის ორგანიზმში დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ჩართვის ეფექტურობა ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. აქვე, აღიარებულია ისიც, რომ ორგანიზმი თავისი სიცოცხლისათვის საჭირო ენერგიას იღებს, როგორც ბიოსფეროდან (ჰაერის, წყლის, საკვების სახით), ისე კოსმოსიდან. ადამიანის ორგანიზმი თავისი სხეულისათვის საჭირო ენერგიის ორ მესამედს იღებს კოსმოსიდან (ამ მოვლენას მართლმადიდებლები მიიჩნევენ ღმერთის წყალობად, ინდოელი იოგები კი „პრანად“), რაც ხმარდება როგორც ორგანიზმის (სუნთქვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდსასქესო და ა. შ.) მუშაობის შესრულებას, ისე ადამიანის საღი აზროვნების შენარჩუნებისა და მისი ფსიქიკური მოღვაწეობის ადექვატობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

SUMMARY

ACTIVATION OF HUMAN HEALTH RESERVES THE ESSENCE OF THE MECHANISMS

IGOR DOLIDZE

Professor, Doctor of Medicine

GEORGE CHAKHUNASHVILI

Professor, Doctor of Medicine

Today, the time has come to make a healthy person the object of medical research, and physicians must begin to compile a "history of health" in addition to a "history of illness," which will allow us to explore the psycho-physical capabilities of the human body. considering. It is known that the main sign of health is the high tolerance of the organism to the changing conditions of the external environment, I. e. Health is a condition of the body when all its organs and systems are balanced with the external environmental conditions and at the same time a person does not have any clinical signs characteristic of the disease.

In recent years, scientists have come up with some ideas about the bioenergetic processes in the body, which proves the effectiveness of timely involvement of protection-compensatory mechanisms in the human body in order to maintain health. It is also recognized that the body receives the energy it needs for its life, both from the biosphere (air, water, food) and from space. The human body receives two-thirds of the energy needed by its body from space (Orthodox believe that this is God's grace, and Indian yoga is called "prana"), which is used to work both the body (breathing, gastrointestinal tract, urogenital tract, etc.) and humans. The adequacy of maintaining common sense and his mental activity in daily life.

კლავგური ნაკადის გამოყენება პროკურსორული უჯრედების სტიმულაციისთვის, კრიტიკული მდგომარეობების დროს

A JOINT USE OF PLAZMATIC IN ORDER TO COMMITE PROGENIC PRECURSORS IN CRITICAL CONDITION

ზვ. ხელაძე, ს. ჯაიანი, ბ. ტუტსკირიძე

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი საქართველო

ZV KHELADZE, S. JAANI, B TSUTSKIRIDZE

Institute of critical care medicine, Tbilisi Georgia

აქტუალობა: კრიტიკული მდგომარეობა მოიცავს ორგანოებისა და ქსოვილების ცალკეული უბნის დისტროფიულ ცვლილებებსა და ნეკროზს. ამის გამო კრიტიკულ მდგომარეობათა მკურნალობა უმთავრესად ამა თუ იმ ორგანოსა და ქსოვილის დაუზიანებელი უბნების შენარჩუნებისა და მათი ფუნქციის გამართვაზეა გათვლილი. თუმცა, კრიტიკული მდგომარეობების ლიკვიდაციის საქმეში პროგრესის მიღწევა შეუძლებელია დაზიანებული უბნების აღდგენის გარეშე. ამ პროცესების მიზანდასახული მართვის

ლი უბნების შენარჩუნებისა და მათი ფუნქციის გამართვაზეა გათვლილი. თუმცა, კრიტიკული მდგომარეობების ლიკვიდაციის საქმეში პროგრესის მიღწევა შეუძლებელია დაზიანებული უბნების აღდგენის გარეშე. ამ პროცესების მიზანდასახული მართვის



პრობლემს კი კრიტიკულ მედიცინაში დღემდე არ დასმულა. უფრო მეტიც, დღეს მედიცინაში ფართოდ განხილული საკითხი სხვადასხვა სახის დაავადებათა დროს დაზიანებულ ქსოვილთა ღერძული უჯრედების მეშვეობით რეპარაციის შესახებ, ამჟამად მხოლოდ პროგნოზული ღერძული უჯრედების ტრანსპლანტაციის სახითაა წარმოდგენილი და მისი კომბირების პროცესის უშუალოდ ორგანიზმში მართვის პრობლემაცამდე არ დასმულა.

მიზანი და ამოცანები: ღერძული უჯრედების დიფერენცირების პროცესს მართვაკრიტიკული მდგომარეობის დროს პლაზმური სხივით.

მასალა და მეთოდები შესწავლილია 26(100%) ავადმყოფი, 7,0(26,9%) ქალი და 19,0(73,0%) მამაკაცი. ზრდასრული ასაკის იყო 9(34,6%), გარდამავალის 4,0(15,3%), ხოლო ხანშიშესული და მოხუცი ასაკის 13,0(50%) ავადმყოფი. 7,0(26,9%) შემთხვევაში კრიტიკული მდგომარეობა ასოცირებული იყო იშემიურ ინსულტთან, 7,0(26,9%) – ბრონქოპნევმონიასთან, 5,0(19,2%) – ჰემორაგიულ ინსულტთან, 2,0(7,6%) – პოლიტრავმასთან, 2,0(7,6%) – ქალა-ტვინის მიიმე ტრავმასთან, 2,0(7,7%) – ღვიძლის უკმარისობასთან, 1,0(7,7%) – მიიმე სეფსისთან და 1,0(3,8%) – ავთვისებიან ნეორეპტიკურ სინდრომთან. კლინიკაში მოთავსებისას 18,0(69,2%) მათგანს აღენიშნებოდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ხოლო, 8,0(30,8%) ავადმყოფს მწვავე უკმარისობა ჩამოუყალიბდა მკურნალობის შემდეგ დღეებში. ჰიპოვლემიური შოკის მდგომარეობაში იყო 2,0 (7,7%), ტრავმულ შოკში – 2,0(7,0%), სეპტიკური შოკის მდგომარეობაში – 2,0(7,7%) ავადმყოფი. სხვა ავადმყოფებს სისხლის მიმოქცევის მწვავე უკმარისობის სურათი ჩამოუყალიბდა მკურნალობის შემდეგ ეტაპზე. ასევე კრიტიკული მდგომარეობის სხვადასხვა ეტაპზე 22,0(84,6%) ავადმყოფს ჩამოუყალიბდა ტვინის შემუკება, 3,0(11,5%) – ჰიპეტარგია და 1,0(3,8%) – ურემია; ინფექციური გენეზის გართულებები განუვითარდა 16,0(61,5%) ავადმყოფს. მათ შორის 16,0(61,5%) – ტრაქეობრონქიტი, 13,0(56,0%) – ბრონქოპნევმონია, 5,0(19,2%) – ცისტეტი და 2,0(7,7%) ავადმყოფს სეფსისი. კლინიკაში შემოსვლისას 23,0(88,5%) ავადმყოფი იმყოფებოდა ცერებლარული კომის მდგომარეობაში, დანარჩენებს – 3,0(11,5%) – ს კომის მდგომარეობა განუვითარდა მოგვიანებით ეტაპზე. კომის სიღრმე „გლასგოს სკალის“ მიხედვით (9, 34, 6%) შემთხვევაში 3-5 ბალი იყო, 3,0(23,1%) შემთხვევაში – 6-8 ბალი, ხოლო 14,0(53,8%) შემთხვევაში – 9-12 ბალი, კლინიკაში შემოსვლისას apache-2 სისტემით გამოკვლევისას 5,0(19,2%) – 21-30 – ს, ხოლო 8,0(30,8%) -31-ზე მეტ ქულას. ყველა ავადმყოფი ნამკურნალები იყო კრიტიკულ მდგომარეობათა მკურნალობის სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, რომელიც მოიცავდა ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას, შოკის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, წყლითა და ელექტროლიტების უზრუნველყოფას, პალენტრალურ და ენტერალურ კვებას, ანტიოქსიდანტურ თერაპიას და სხვა ღონისძიებებს. ამ ფონზე მათ უტარდებოდათ არგონის ნეიტრალური გაზიდან წარმოქმნილი პლაზმური სხივებით მკურნალობა შესაბამისი პატენტის მიხედვით. ამ ჯგუფის ავადმყოფთა კლინიკაში დაყოფნა შეადგენდა 9,4 1,2 დღეს, ლეტალობა – 30, 8%, ინვალიდობა აღენიშნებოდა

ყველა გადარჩენილ 18,0(69,2%) ავადმყოფს, მათ შორის 6,0(23,0%) ავადმყოფის სიცოცხლე იყო სხვაზე დამიკიდებული, ხოლო 12,0(46,1%) ავადმყოფს დამოუკიდებლად შეეძლო არსებობა. ამ ჯგუფის ავადმყოფებში თითოეული საწოლდღის ღირებულება 317,3 \$ ექვივალენტ ღირს შეადგენდა. საკონტროლო ჯგუფში შესწავლილი იყო 27,0(100%) იდენტური ავადმყოფი. ყველა ავადმყოფი ნამკურნალები იყო ტრადიციული მეთოდით, რომელიც ეყრდნობოდა კრიტიკულ ავადმყოფთა მკურნალობის სახელმწიფო სტანდარტს. ამ ავადმყოფთა კრიტიკული დეკლარაციას 12,4+3,0 დღე დასჭირდა. ლეტალობა ამ ჯგუფში 44,4% იყო. გადარჩენილი ავადმყოფთა გან ღრმა ინვალიდობა აღენიშნებოდა 8,0(29,6 %) ავადმყოფს და მათი სიცოცხლეც მხოლოდ ასოცირებული ფორმით იყო შესაძლებელი. ამ უკანესკნელთაგან 3,0(11,1%) შემთხვევაში ჩამოყალიბდა ქრონიკული ვეგეტატური მდგომარეობა. დარჩენილ 7,0(35,9) ავადმყოფს კი შეეძლო სიცოცხლის დამოუკიდებელი სახით გაგრძელება და ინვალიდობის ხარისხი მათში შედარებით სუსტად იყო გამოხატული. ამავადმყოფების თითოეული საწოლდღის ღირებულება შეადგენდა 390,6\$ ექვივალენტ ღირსში.

ამ ავადმყოფთა კვლევის სპეციალური მეთოდები წარმოდგენილი იყო ძვლის ტვინის და პერიფერიული სისხლის უჯრედების რაოდენობის, აგრეთვე ძვლის ტვინის ფუნქტატის მუავატუტოვანი წონასწოების, ღერძული და იმუნოკომპეტენტური უჯრედების რაოდენობის შესწავლით. რომელიც წარმოებდა საყოველთაო ადიარებულ მეთოდებით.

შედეგი და განსჯა. პლაზმური სხივებით მკურნალობის დამთავრების შემდეგ, რაც კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღეს შეესაბამებოდა, საწყის მანევრებლებთან (1-3-ე დღე) შედარებით ძვლის ტვინში სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა ნეიტროფილების ის პოპულაციები, რომლებიც მოიცავდა პრომიელოციტებს (2,3 +0,1; P<0,001), მიელოციტებს (14,7+0,7; P<0,001), მეტამიელოციტებს (8,2+0,1; P<0,01) და ჩხირბირთვიან (12,2 +0,6; P,0,001) უჯრედებს. ამ თვალსაზრისით სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა, აგრეთვე, ეუზინოფილების (9,5+0,8 ; P<0,001) და პროერიტობლასტების რაოდენობაც (2,2 +0,2; P<0,001). საკულისხმოა, რომ მოგვიანებით პერიოდში (კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღე), კრიტიკული მდგომარეობის პირველ დღეებთან შედარებით (1-3-ე დღე) გამოკვლეული პარამეტრების უმრავლესობა კვლავ მომატებული რჩებოდა, მაგრამ თითოეული მათგანი სტატისტიკურად არა სარწმუნოდ (P<0,005) განსხვავდებოდა შესადარებელი სიდიდებისაგან. კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღეს ასევე სტატისტიკურად არასარწმუნო იყო (P<0,05) თითოეული ამ მანევრებლის სიდიდის განსხვავება უშუალოდ პლაზმური სხივებით მკურნალობის დამთავრების შემდეგ (კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღე) მიღებულ მანევრებლებთან.

პერიფერიული სისხლის უჯრედების შესწავლის დროს, კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღეს, საწყის მანევრებლებთან (1-3-ე დღე) შედარებით, სტატისტიკურად სარწმუნოდ მოიმატა ერითროციტების, (5,2+0,2 უჯრ. /მლ) ლეიკოციტების (10,7+0,6 უჯრ. /მლ) მათ შორის ჩხირბირთვიანების (13,1+0,1, P<0,



001) რაოდენობამ. ამ ფონზე პერიფერიული სისხლის სხვა უჯრედების რაოდენობა სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლებოდა (P<0,05). კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღეს ასევე სტატისტიკურად არასარწმუნოდ (P<0,05) იცვლებოდა თითოეული ამ პარამეტრთაგანი მე-4-7 დღეს და 1-3-ე დღეს მიღებულ მანევრებელთან შედარებით.

ძელის ტვინის პუნქტატის მუავა-ტუტოვანი წონასწორობის შესწავლისას, პლაზმური სხივებით მკურნალობის დამთავრების შემდეგ, რაც კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღეს შეესაბამებოდა, საწყის მანევრებლებთან (1-3-ე დღე) შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო მომატებული ჟანგბადის პარციალური წნევა (43,2+-1,8; მმ. ვერცხ. სვეტ. P<0,001). სხვა პარამეტრების ცვლილებები კი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იყო (P<0,05). ასევე სტატისტიკურად არასარწმუნოდ მონაცემები (P<0,05) მიღებული იყო ძელის ტვინის პუნქტატის მუავა ტუტოვანი წონასწორობის შესწავლისას კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღეს. ამ დროს მიღებული თითოეული პარამეტრის სიდიდე უმნიშვნელოდ განსხვავებოდა პლაზმური სხივებით მკურნალობის დაწყებამდე (კრიტიკული მდგომარეობის მე-1-3 დღე) და პლაზმური სხივებით მკურნალობის დამთავრების თანავე (კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღე) მიღებული სიდიდეებისაგან.

ღერძული და იმუნოკომპეტენტური უჯრედების რაოდენობის ცვლილებების შესწავლისას, უშუალოდ პლაზმური სხივებით მკურნალობის დამთავრების შემდეგ (კრიტიკული მდგომარეობის მე-4-7 დღე), საწყის მანევრებლებთან (კრიტიკული მდგომარეობის მე-1-3-დღე) შედარებით, სტატისტიკურად სარწმუნოდ

(P<0,05- 0,001) გაიზარდა CD 3 (39,0+-0,9%), CD 4 (27,3+-0,9%), CD 34 (10,9+-0,4%) და CD 72 (11,6+-0,2%) უჯრედების რაოდენობა. ამ თვალსაზრისით CD 8 პოპულაციის უჯრედთა ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნოდ არ ყოფილა (P<0,05). საგულისხმოა, მკურნალობის დამთავრებიდან მოგვიანებით პერიოდში (კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღე) მიღებულ მანევრებლებში კრიტიკული მდგომარეობის მე-1-3 დღეს რევისტრირებულ მანევრებლებთან შედარებით კვლავ რჩებოდა მაღალი, თუმცა ამ თვალსაზრისით მათი სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოდ არ ყოფილა (P<0,05). ასევე არ იყო ნანახი სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავება კრიტიკული მდგომარეობის მე-8-15 დღეს და მე-4-7 დღეს მიღებული მანევრებლების შედარებისას (P<0,05).

აღნიშნული მონაცემების ანალიზი უჩვენებს რომ, პლაზმური სხივებით მკურნალობის შემდეგ, ადგილი აქვს ძელის ტვინის და პერიფერიული სისხლის ერიტროციული, ლეიკოციტური და თრომბოციტური ახალგაზრდა ფორმის უჯრედების რაოდენობის მკვეთრ მატებას, ამასთან, ეს მომატება სტაბილურად მაღალი რჩება კრიტიკული მდგომარეობის პირველი-ორი კვირის განმავლობაში. პარალელურად, ძელის ტვინში იზრდება ჟანგბადის პარციალური წნევა. საგულისხმოა აგრეთვე პროგენიტული ღერძული და იმუნოკომპეტენტური უჯრედების მკვეთრი ზრდა. ამ ფონზე აღინიშნება კრიტიკული მდგომარეობის გართულებების და ლეტალობის შემცირება, აგრეთვე ინვალიდობის ხარისხის გაუნჯობესება, კრიტიკული მდგომარეობათა ლიკვიდაციისათვის საჭირო დროის შემოკლება და მკურნალობის ღირებულების გაიაფება.

რეზიუმე

პლაზმური ნაკადის გამოყენება პროგენური უჯრედების სტიმულაციისთვის, კრიტიკული მდგომარეობების დროს

ზვ. ხელაძე, ს. ჯაიანი, ბ. ცუცქირიძე
კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისის საქართველო

შრომაში აღნიშნული მონაცემების ანალიზი უჩვენებს რომ, პლაზმური სხივებით მკურნალობის შემდეგ, ადგილი აქვს ძელის ტვინის და პერიფერიული სისხლის ერიტროციული, ლეიკოციტური და თრომბოციტური ახალგაზრდა ფორმის უჯრედების რაოდენობის მკვეთრ მატებას, ამასთან, ეს მომატება სტაბილურად მაღალი რჩება კრიტიკული მდგომარეობის პირველი-ორი კვირის განმავლობაში. პარალელურად, ძელის ტვინში იზრდება ჟანგბადის პარციალური წნევა. საგულისხმოა აგრეთვე პროგენიტული ღერძული და იმუნოკომპეტენტური უჯრედების მკვეთრი ზრდა. ამ ფონზე აღინიშნება კრიტიკული მდგომარეობის გართულებების და ლეტალობის შემცირება, აგრეთვე ინვალიდობის ხარისხის გაუნჯობესება, კრიტიკული მდგომარეობათა ლიკვიდაციისათვის საჭირო დროის შემოკლება და მკურნალობის ღირებულების გაიაფება.

SUMMARY

A JOINT USE OF PLAZMATIC IN ORDER TO COMMITTE PROGENIC PRECURSORS IN CRITICAL CONDITION

ZV KHELADZE, S. JAIANI, B TSUTSKIRIDZE
Institute of critical care medicine, Tbilisi Georgia

As a result of joint use of plasmatic radiation a clear cut increase quantity of marrow and peripheral blood cell erythrocytes as well as leucocytes and thrombocytes, especialliy of young cells takes place. Besides, the above mentioned increase stays stable during the first couple of weeks of critical conditions. Parallel to the above mentioned increase of patrial pressure oxygen in bone marrow takes place. Considerable growth of progenic axial and immune competitive cells showing a tendency towards stability is significant as well. Having considered the above mentioned, decrease of accompanying complications, improving the indices of lethality and level of disability, shortening the time necessary to heal the patients and bring them out of the critical condition and back to health which means cutting down on treatment expenses as well is of big importance indeed.



პრაქტიკოსი ექიმებისათვის Practicing Physicians

აპივიტის, აპიკორის, აპიპულმოსა და აპიპეპატის კომპლექსური გამოყენების საფუძვლები ბავშვთა და მოზარდთა პრევენციულ კარდიოლოგიაში

FUNDAMENTALS OF THE COMPLEX USE OF APIVIT, APICOR, APIPULMO AND APIPHEPATI IN THE PREVENTIVE CARDIOLOGY OF CHILDREN AND ADOLESCENTS

ბ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი
(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

G. CHAKHUNASHVILI, N. JOBAVA, K. CHAKHUNASHVILI, G. CHAKHUNASHVILI
(Tbilisi State Medical University, Georgian Association of Pediatric Cardiologists)

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიაში უმნიშვნელოვანესია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მონიტორინგი. სწორედ, ამიტომ პრევენციული კარდიოლოგია ბავშვთა ასაკიდან იწყება და ეს შესაძლებელია, მხოლოდ უნდა გადავიღოთ ეკვ და გულდასმით გავეშიფროთ ის. ექიმებისათვის უმნიშვნელოვანესია დროულად განისაზღვროს სხვადასხვა დაავადებათა დრო პათოლოგიურ პროცესში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჩაბმის ხარისხი, რომელიც მნიშვნელოვნად ე. კ. გ-ის პროფესიონალურ შეფასებაზე დაფუძნებული(1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17-18-19-20).

დროულად და ფაქიზად აღმოჩენილი ელექტროკარდიოგრაფიული მანევრებლები კი საშუალებას იძლევა გავატაროთ პირველ ეტაპზე პრევენციული მედიკამენტოზური მკურნალობა. (21-22-23-24-25-26-27-28-29-30-31-32-33-34-35-36-37-38-39-40-41-42-43-44-45-46-47-48-49-50)

რა თქმაუნდა სასურველია, თუ ეს პრევენციული ღონისძიებანი განხორციელდება ბუნებრივი, არა ქიმიური პრეპარატებით. (51-52-53-54-55-56-57-58-59-60-61-62-63-64-65-66-67-68-69)

სწორედ, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიაში აპივიტის, აპიკორის, აპიპულმოსა და აპიპეპატის კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობანი.

კვლევის მასალა და მეთოდოლოგია: შრომაში გაანალიზებულია თბილისის ბავშვთა კლინიკებისა თუ პოლიკლინიკებში და საქართველოში პუმანიტარულ აქციებში გასინჯული 2012 -2019 წწ-ის 5 000 შემთხვევა (0-დან 18 წლამდე ასაკის ხშირად მოავადე, არამოავადე, სპორტით დაკავებული, სპორტის გარეშე მყოფი, მოცეკვავე ბავშვი და მოზარდი), სადაც დაავადებათა დიაგნოზთა დასასმელად კლინიკურ

მონაცემებთან და კვლევის თანამედროვე ბიოქიმიურ და იმუნოლოგიურ მეთოდებთან ერთად მიმდინარეობდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის უსისხლო ხელმისაწვდომი კვლევები: ელექტროკარდიოგრაფია (15 განხრაში), კაპილაროსკოპია და რა თქმა უნდა ექოკარდიოგრაფია და სხვა.

აღნიშნულ კონტიგენტს (გამორიცხვით, რომ მათ ფუტკრის პროდუქტებზე არ ჰქონდათ ალერგიული რეაქციები) კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მონაცემების სკუპულოზური გაანალიზების შემდეგ სხვადასხვა კომბინაციითა და ხანგრძლიობით ეძლეოდათ აპიპრეპარატები: „აპივიტი“, „აპიკორი“, „აპიპეპატი“ და „აპიპულმო“.

„აპივიტი“ (APIVIT)

/რეგისტრაციის და თარიღი რ-020845 2016-11-22 – 2021-11-22/ ფარმაკოლოგიური ჯგუფი/ქვეჯგუფი: ჯგ. იმუნომოდულატორები.

ქვ/ჯგ.: მცენარეული წარმოშობის

„აპიპულმო“ (APIPULMO)

/ რეგისტრაციის და თარიღი #რ-024219 2018-09-01 – 2023-09-01 /

ნატურალური სრულფასოვანი კომპლექსი: ვიტამინები + მინერალები + ამინომჟავები... შეიცავს: ამინომჟავების 22 სახეობას 20% პროტეინს ალბუმინების სახით, ვიტამინებს (A, B1, B2, B5, B6, ჩ, D, PP, E, K, ფოლის მჟავა), ბიოტინს, რუტინს, ბეტა-სიტოსტერინი (ფოსფოტერინი), მიკროელემენტებს (Fe, ჩა, Mg, ძნ, ჩუ, F), გლიკოზიდებს, ქლოროფილს. ეფექტურია: 1. სასუნთქი სისტემის მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების დროს ბრონქიტები, პნევმონიები, ტუბერკულოზი 2. ქრონიკული პიპოქსიის 3. (უანგზადის დეფიციტის) დროს, რადგან ხელს უწყობს ფილტვების ვენტილაციას, მათში უანგზადის მიწოდების გაუმჯობესებას; 4. ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების დეფიციტის შესავსებად (პიპოვიტამინოზების დროს); 5. მოზარდთა სიმალლეში ზრდისას, ვინაიდან უზრუნველყოფს ორგანიზმის ზრდისა და



განვითარების პროცესებს; 6. იმუნოდეფიციტური მდგომარეობების დროს, რადგანაც გააჩნია იმუნომოდულაციური, იმუნომასტიმულირებელი და ანტიმიკრობული თვისებები. 7. ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს: გადაღლა, გონებრივი და ფიზიკური შრომისუნარიანობის დაქვეითება; 8. ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. 9. შაქრიანი დიაბეტის და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის დროს; 10. სტრესის და ნერვული დაძაბულობისას ღოზირება: 1 წლამდე 1/4 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში; 1 წლიდან 3 წლამდე 1/3 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში; 3 წლიდან 5 წლამდე 1/2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში; 5 წლიდან 12 წლამდე 1 ტაბლეტი ორჯერ დღეში; 12 წლიდან 2-3 ტაბლეტი 3 ჯერ დღეში; მკურნალობის კურსი ერთი თვე. განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთჯერ. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ღოზების გაორმაგება. წინააღმდეგვებები: ინდივიდუალური აუტანლობა გამოშვების ფორმა: ტაბლეტი 0,35; არ არის დაფარული საღებავიანი გარსით. შეფუთვაშია 60 (30X2) ტაბლეტი.

აპიკორი (APIKORI)

რეგისტრაციის და თარიღი #რ-024217 2018-09-01
– 2023-09-01/ ნატურალური სრულფასოვანი კომპლექსი ორი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების შემცველი ფუტკრისა (ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე) და ყურძნის პროდუქტის ნაზავია. იგი მდიდარია ყველა იმ ნივთიერებით, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზმის ნორმალურ ცხოველქმედებას.

მოქმედების მექანიზმი: აუმჯობესებს მიოკარდიუმის კუმშვად ფუნქციას, აძლიერებს საგულე გლიკოზიდების კარდიოტროფულ და თერაპიულ ეფექტს; ახდენს ანტიქოლესტერინემიულ და ანტიოქსიდანტურ მოქმედებას, იცავს სისხლძარღვთა კედლებს ათეროსკლეროზული დაზიანებისაგან, აქვეითებს გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკს; აუმჯობესებს მხედველობას; აწესრიგებს ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების ცვლას; გააჩნია იმუნომოდულაციური, იმუნომასტიმულირებელი და ანტიმიკრობული თვისებები; ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას, აუმჯობესებს ცხიმოვან ცვლას და წონაში დაკლებას; ხსნის ნერვულ დაძაბულობას სტრესების დროს, აუმჯობესებს ძილს; ხსნის „პახმელიას“. ახდენს არტერიული წნევის ნორმალიზებას, აუმჯობესებს ვეგეტოსისხლძარღვოვან რეგულაციას, ანტიმულირებს ჰემოპოეზს.

აპიჰეპატი (APIHEPATI)

რეგისტრაციის და თარიღი #რ-024218 2018-09-01
– 2023-09-01 / ნატურალური სრულფასოვანი კომპლექსი წარმოადგენს ბუნებრივ, ნატურალურ მცენარეულ კომპონენტთა ჯამს: წიწვოვანის ექსტრაქტის, ფუტკრისა(ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე) და ყურძნის პროდუქტების ნაზავს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედებისა და სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკისათვის მოქმედების მექანიზმი: ზრდის ორგანიზმის ფიზიკურ და გონებრივ შრომისუნარიანობას; აწესრიგებს ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების ცვლას, უანგვალდგენით პროცესებს; გააჩნია რადიოპროტექტორული მოქმედება, უზრუნველყოფს მიმდებარე მეტალების გამოდევნას, თავისუფალი რადიკალებისა და ტოქსინების განეიტრალებას; პრეპარატში შემავალი ამინომჟავები ადვილად ათვისებადიან, რაც ხელს უწყობს აზოტოვანი ბალანსის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს ორგანიზმის ზრდისა და განვითარების პროცესებს; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კუჭის, დვიდლის, ელენთის ფუნქციას. პრეპარატს აქვს ლიპოტროფული ეფექტი (დვიდლის უჯრედებიდან გამოაქვს ზედმეტი ცხიმი), აღადგენს ჰეპატოციტების ფუნქციას, ხელს უშლის ნაადრევ დაბერებას; გააჩნია ანტირადიაციული და ანტიკანცეროგენული თვისებები; გააჩნია იმუნომოდულაციური, იმუნომასტიმულირებელი და ანტიმიკრობული თვისებები;

ოფს მიმდებარე მეტალების გამოდევნას, თავისუფალი რადიკალებისა და ტოქსინების განეიტრალებას; პრეპარატში შემავალი ამინომჟავები ადვილად ათვისებადიან, რაც ხელს უწყობს აზოტოვანი ბალანსის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს ორგანიზმის ზრდისა და განვითარების პროცესებს; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კუჭის, დვიდლის, ელენთის ფუნქციას. პრეპარატს აქვს ლიპოტროფული ეფექტი (დვიდლის უჯრედებიდან გამოაქვს ზედმეტი ცხიმი), აღადგენს ჰეპატოციტების ფუნქციას, ხელს უშლის ნაადრევ დაბერებას; გააჩნია ანტირადიაციული და ანტიკანცეროგენული თვისებები; გააჩნია იმუნომოდულაციური, იმუნომასტიმულირებელი და ანტიმიკრობული თვისებები;

ზემო აღნიშნული კვლევების გარდა ანამნეზში დიდი ყურადღება ექცეოდა დაღლილობას, კარდიოლოგიას, ანთროპომეტრულ მახვენებლებს, შრომისუნარიანობასა და წლის განმავლობაში სეზონური დაავადებების დინამიკას;

შრომაში რაოდენობრივი მახვენებლების სარწმუნოების შეფასებას ვახდენდით სტიუდენტის კრიტერიუმით (t), ხარისხოვანის χ^2 კრიტერიუმით, ჯგუფებს შორის შედარებას Pearson -ით. განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, თუ $t > 1,96$ $p < 0,05$ და $\chi^2 > 3,84$, $p < 0,05$ (10, 11). $t > 1,96$ $p < 0,05$ და $\chi^2 > 3,84$, $p < 0,05$ (10, 11). მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS-ის გამოყენებით.

არსებული შედეგების ანალიზით დგინდება, რომ თანამედროვე ეტაპზე ბავშვთა კარდიო-რემატოლოგიის მრავალი საკითხი მოითხოვს დაზუსტებას და იგი, როგორც კლინიციისტთა, ასევე მეცნიერ-მკვლევართა უაღრესად საინტერესო კვლევის სფეროს წარმოადგენს. ეს შეეხება ბავშვთა ასაკში შუილის არსებობას, მიტრალური სარქველის პროლაფსს, სხვადასხვა სახის არითმიებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობას, ათეროსკლეროზს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის კლინიკურ იმუნოგენეტიკას, ართრიტების მრავალფეროვან გამოხატვას და ა. შ.

უკანასკნელ წლებში შუილის მრავალი კარდიოლოგიური თუ ექსტრაკარდიოლოგიური წარმოშობის გამომწვევი მიზეზია დადგინილი. კერძოდ, შუილის მრავალი სახეობა ფიქსირდება გულის თანდაყოლილი და შექნილი (რემატოული და არარემატოული) მანკების, მწვავე (ვირუსულ-ბაქტერიული) და ქრონიკული ინფექციების დროს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია ახალშობილებში სკრინინგ პულს ოქსიმეტრის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს გულის თანდაყოლილი მანკების დროულ დიაგნოსტიკას და თავიდან აგვაშორებს დაგვიანებული ოპერაციებს, რომლებიც შემდგომში თავის პრობლემებით ბავშვთა კარდიო-რემატოლოგიისათვის რთული სამართავია. ზემოაღნიშნულ დაავადებათა გარდა, ყურადღებას იპყრობს მუკოვისციდოზის, ჰიპოთირეოზის, გლიკოგენოზის, ადიპოზოგენიტალური სინდრომის, D – ჰიპერვიტამინოზის, კარდიტის, რემატოიდული ართრიტის, სისტემური წითელი მგლურას და სხვა დაავადებების დროს წარმოშობილი შუილი. ბოლო ათეული წლებია კი დიდი ყურადღება ეთმობა პედიატრების მხრივ მიტრალური სარქველის პროლაფსის დიაგნოსტიკას; როგორც ცნობილია, იგი შესაძლებელია იყოს პირველადი და იდიოპათიური.



რაც შეეხება მეორადი მიტრალური სარქველის პროლაპსის ნაადრევ დიაგნოსტიკას, მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პათოლოგიურ პროცესში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჩაბმის ხარისხის განსაზღვრავად და დაავადების მიმდინარეობის სიმძიმის პროგნოზირებისათვის.

ბავშვთა ასაკში არითმიების საკითხი და მისი შესაბამისი მკურნალობით ტაქტიკის ძიება ერთ-ერთი უადრესად საჭირო, მაგრამ შეუსწავლელ პრობლემად რჩება. თვით ეგრეთწოდებული, „იდიოპათიური“ სინუსური ტაქიკარდია არამარტო პედიატრებისა და კარდიოლოგების, არამედ კარდიოქირურგების ყურადღების ცენტრშიცაა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ევროპის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია ელექტროკარდიოსტიმულაციის რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადი კატეგორიაა წარმოდგენილი, სადაც მეექვსე ნაწილი ბავშვთა ბრადიარითმიის პრობლემას ეხება. აქვე აღვნიშნავთ, რომ არითმიების პრობლემას ბავშვთა ასაკში შედარებით ამსუბუქებს თანამედროვე პორტატული კარდიომონიტორინგი თავისი სპეციალური ალგორითმებით.

0-დან 18 წლამდე ასაკის ხშირად მოვადე, არამოვადე, სპორტით დაკავებული, სპორტის გარეშე მყოფი, მოცეკვავე ბავშვის თუ მოზარდის გულ-სისხლძარღვთა სისტემა მოითხოვს ასაკობრივად ვარჯიშთა რაციონალურად წყობას დოზირებული დატვირთვით, შრომისუნარიანობის კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალგაზრდათა დაავადებები.

ასევე უმნიშვნელოვანესია მოცეკვავეთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მონიტორინგი.

სწორედ ამიტომ პრევენციული კარდიოლოგია ბავშვთა ასაკიდან იწყება და

ეს შესაძლებელია, მხოლოდ უნდა გადავიდოთ ეკბ და გულდასმით გაეშიფროთ ის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ექიმებისათვის უმნიშვნელოვანესია დროულად განისაზღვროს სხვადასხვა დაავადებათა დრო პათოლოგიურ პროცესში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჩაბმის ხარისხი, რომელიც მნიშვნელოვნად ე. კ. გ-ის პროფესიონალურ შეფასებაზეა დაფუძნებული.

ჩვენს შრომებში არაერთხელ გავუსვით ხაზი, რომ – ყოველთვის პარკუჭების ჰიპერტროფია მოიცავს შესაბამისად ელექტროდერმის გადახრას მარჯვნივ ან მარცხნივ.

– თუ პარამეტრები არასრულია შეიძლება ვიმსჯელოთ შესაბამისად პარკუჭთა გადატვირთვასა და გადაძაბვაზე (მარჯვენა პარკუჭთან დაკავშირებით- ჰიპერტენზიის ნიშნებზეც კი მცირე წრეში).

– ეკგ-ს სკუულოზური წაკითხვა ყოველივე მოითხოვს განსკუთრებულ კომპეტენტურ ცოდნასა და გამოცდილებას.

– ავლნიშნავთ, რომ ჩვენი მრავალწლიანი კლინიკური გამოცდილებით პარკუჭთა ჰიპერტროფიამდე, რომელიც კლასიკურად უკვე არსებობს, თავისი ყველა ეკგ ნიშნებით, პრევენციული კარდიოლოგიისათვის გამოყვავით ეკგ ცვლილებების შესაძლო ოთხი ფაზა:





- 0
- I ა-I ბ
- II ა-II ბ
- III
- IV


0 ფაზა

ეკგ ჰიპოქსიის ნიშნებისა და კორონალური უკმარისობის ცვლილებების გარეშე მგვილვან არეალზე


ანუ

ეკგ ასაკობრივი ნორმის ფარგლებში.






და IV ფაზა
 მარცხენა პარკუჭის კლასიკური ჰიპერტროფია, რომელიც შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა ავიცილოთ. ეს კი შესაძლებელია; მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ მოხდეს წინა ფაზების დროული დიაგნოსტიკა.





II ა ფაზა
 (მარცხენა პარკუჭის გადაძაბვა)





II ბ ფაზა

მარჯვენა პარკუჭთან დაკავშირებული ჰიპერტროფიის ნიშნები მცირეწრეში



III ფაზა
 (მარცხენა პარკუჭის გადატვირთვა)



ბავშვთა ასაკში სწორად შეფასებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის კლინიკური მდგომარეობასთან ერთად გულ-სისხლძარღვთა სისტემის ინსტრუმენტული მონაცემების კერძოდ კი ეკგ-ეს მაჩვენებლების სწორი ანალიზი და მართვა ეს უკვე მოზრდილთა კარდიოლოგიის დიდი პრევენციაა.

ამგვარად, დაკვირვებებმა და მონაცემების სკუპულოზურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აპიკიტის, აპიპულმოსა, აპიკორისა და აპიპეპატის სხვადასხვა კომბინაციებით 2 თვიანი მიღების შემდეგ ბავშვებსა და მოზარდებში აღინიშნება:

დაღლილობისა და კარდიალგიის მკვეთრად დადებით დინამიკა ($p < 0,05$);

დინამიკაში უმჯობესდება ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები – T კბილთა სიმამლე ($p < 0,05$), ST სეგმენტის ფორმები ($p < 0,05$), S და R კბილების ზომები ($p < 0,05$).

ანთროპომეტრული მაჩვენებლების გაუმჯობესება ($p < 0,05$);

შრომისუნარიანობის მკვეთრი მატება ($p < 0,05$).

წლის განმავლობაში სეზონური დაავადებების მკვეთრი კლება.

დასკვნა:

აპიკიტის, აპიკორის, აპიპულმოსა და აპიპეპატის კომპლექსური გამოყენება რეკომენდებულია არა მარტო ბავშვთა და მოზართა პრევენციულ კარდიოლოგიაში, არამედ მათ მოქმედების უფრო ფართო სპექტრი გააჩნიათ.

ლიტ:

1. „ბავშვთა კარდიოლოგია“ №13. 2019. 42-46 გვ ბავშვთა და მოზართა პრევენციული კარდიოლოგიის საფუძვლები სპორტსმენებისა და მოცეკვავეებისათვის. გ. ს. ჩახუნაშვილი, ყ. ფალავა, ნ. ჯობავა, ირ. კორინთელი, კ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია) <http://sppf.info/pdf/cardio-2019.pdf>
2. ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეთა ნაერების ქიმიური შესწავლა / ვ. ხოსიტაშვილი, ლ. ხოსიტაშვილი, ნ. მინდიაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, მ. სუთიაშვილი // საქართველოს ქიმიური ჟურნალი. – თბილისი, 2008. – ISSN 1512-0686. – N8(2). – გვ. 184-185. – რეზიუმე ქართ. რუს. და ინგლ. ენებზე [MFN: 16499]
3. მედიცინის მეცნიერება და აუცილებელი გზა XXI საუკუნეში მისი განვითარებისაკენ “ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული” / გიორგი ჩახ-





უნაშვილი //სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2009. – N11-6-5. – გვ. 54-60[MFN: 35033]

4. "ტყის ნობათის" ახალი წამლის ფორმის ტექნოლოგიის, რეცეპტურის და სტანდარტიზაციის მეთოდის შემუშავება / ვ. ხოსიტაშვილი, პ. ა. იაფინი, გ. ჩახუნაშვილი, ლ. ხოსიტაშვილი, ლ. ჭურაძე, თ. რუხაძე //სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2009. – N11-6-5. – გვ. 66-70[MFN: 35042]

5. მცენარეული სიროფი "მენჯ-უნის" ზოგადტოქსიკური მოქმედების შესწავლა / ვ. ჩახუნაშვილი, ვ. ხოსიტაშვილი, ლ. ხოსიტაშვილი, კ. მულკეიჯანიანი //სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2008. – N10-5-4. – გვ. 29-33[MFN: 35060]

6. სპორტსმენებში ფარმაკოლოგიური საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების (კარტანი, აპივიტი, აპიკორი, აპიპინი-აპიპულმონ, აპიპინკო-აპიპეპატი) XXI საუკუნეში გამოყენების პერსპექტივა / ვ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, ხ. ლასარეიშვილი, ზ. კახაბრიშვილი, დ. ტაბუცაძე //სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2007. – N9-4-3. – გვ. 27-31[MFN: 35144]

7. ქართული კვებითი დანამატები და მათი ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება / ვ. ჩახუნაშვილი, ვ. ხოსიტაშვილი, ლ. ხოსიტაშვილი, ნ. ჯობავა // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2005. – N7-2-1. – გვ. 39-40. – რეზიუმე ქართ. ენ. [MFN: 35307]

8. გულ-სისხლძარღვთა სისტემის კლინიკურ-ინსტრუმენტული მახასიათებლები მუკოვისციდოზის დროს ბავშვებში / ნ. ბადრაიშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. თოფურიძე, ნ. ჯობავა, მ. ხეცურიანი, თ. ჩხეიძე, ქ. კვაჭაძე // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2007. – N1. – გვ. 29-31[MFN: 35377]

9. ფარისებური ჯირკვლის ეუთირეოიდული ჰიპერპლაზია ბავშვებში: (გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა) / ლ. კომშიაშვილი, ლ. გუჯაბიძე, თ. აბულაძე, გ. ჩახუნაშვილი, თ. მარინაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2007. – N1. – გვ. 46-48[MFN: 35410]

10. ბავშვთა კარდიოლოგია XXI საუკუნეში: გულ-სისხლძარღვთა დაავადების პრევენციისათვის ბავშვთა ასაკში (კორონალური უკმარისობა და მისი პედიატრიული ასპექტი) / ვ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2008. – N2. – გვ. 9-12[MFN: 35444]

11. გამოსმაურება მსოფლიო მიმართულებაზე "Cardiac Risk in the Young": გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნაადრევ მორფოფუნქციურ ცვლილებათა დროული გამოვლენა და საწვრთო პროცესების თანამედროვე მართვა მოზარდ სპორტსმენებში (ფეხბურთელებში) / მაია აღთუნაშვილი, გიორგი ჩახუნაშვილი //ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2008. – N2. – გვ. 13-14[MFN: 35449]

12. პერინატალურიაში ტრანზიტორული ჰიპოქსია და ე. კ. გ.-ს დიაგნოსტიკური ღირებულება / თ. მჭედლიშვილი, გ. ჩახუნაშვილი, მ. ჯობავა // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2008. – N2. – გვ. 19[MFN: 35464]

13. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მართვის თანამედროვე ხედვა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში / ვ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი //ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2009. – N3. – გვ. 9-17[MFN: 35489]

14. ლექტინების გამოყენების პერსპექტივა XXI საუკუნის მედიცინაში / ე. ბაირამოვი, გ. ჩახუნაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2009. – N3. – გვ. 38-39[MFN: 35502]

15. მაღალი კვალიფიკაციის მოჭიდებების საწვრთნო პროცესების მართვა / ზ. კახაბრიშვილი, გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2009. – N3. – გვ. 40-41[MFN: 35514]

16. რადიოპროტექტორული თვისებების მქონე ფენოლური ნაერთებით მდიდარი მცენარეების შერჩევა და მათი გამოყენება პარასამკურნალო პრეპარატების მისაღებად / ვაჟა ხოსიტაშვილი, ლევან ხოსიტაშვილი, ნანული მინდიაშვილი, გიორგი ჩახუნაშვილი, მარინე სუთიაშვილი // საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. – თბილისი, 2007. – ISSN 1512-2743. – დეკემბერი. – N21. – გვ. 250-253. – რეზ. რუს. და ინგლ. ენ. [MFN: 37320]

17. საქართველოში ბავშვთა კარდიოლოგიის აქტუალური საკითხები და მისი განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნეში / ვ. ჩახუნაშვილი // სოციალური პედიატრია. – თბილისი, 2003. – N4. – გვ. 13-14[MFN: 37543]

18. ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის კურსი (ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოება მეცნიერული გზით მედიცინა და სპორტი) / ვ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2010. – N12-7-6. – გვ. 29-30. – ტექსტი ქართ. და ინგლ. ენაზე[MFN: 55626]

19. სპორტული წვრთნის პროცესში სასმელი "ივერიული-ფიტოს" ჩაბმის აუცილებლობა / კ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, ნ. თოფურიძე, ზ. შაქარაშვილი, გ. ჩახუნაშვილი //სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2010. – N12-7-6. – გვ. 35[MFN: 55634]

20. ST სეგმენტი და T-კბილი ჯანმრთელ ბავშვებსა და ზოგიერთი ანთებად და არაანთებად დაავადებების დროს პედიატრიაში (NEHB-ის განხრების გამოყენების პერსპექტივა პედიატრიაში პრევენციული კარდიოლოგიის საკითხები) / ვ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2010. – N4. – გვ. 9-23[MFN: 55728]

21. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ფარული ვეგეტატიური დისფუნქციისა და სისხლძარღვოვანი ჰიპერრეაქტიულობის დროს სპორტსმენ ბავშვებსა და მოზარდებში: [დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის საკითხები] / ვ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, თ. გოგატიშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია. – თბილისი, 2010. – N4. – გვ. 39-41[MFN: 55738]

22. მედიცინის, სპორტის და განათლების სისტემის ერთიანი მართვა აუცილებელია: ინტერვიუ / გიორგი ჩახუნაშვილი; ესაუბრა ნელი დარბაიძე // ქართული ელიტა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. – თბილისი, 2010. – აგვისტო. – N5(65). – გვ. 57-58[MFN: 70789]



23. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება იუვენალური რემატოიდული ართრიტის დროს: (მიმოხილვა) / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, მ. ლეკიშვილი და კ. ჩახუნაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2011. – ISSN 1987-9857. – N5. – გვ. 8-16. – ბავშვთა კარდიოლოგია. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენ. [MFN: 81401]

24. კამლაროსკოპიისა და კარდიონიტრეგულატორული მიღებული მონაცემების დახასიათება / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2011. – ISSN 1987-9857. – N5. – გვ. 16-24. – ბავშვთა კარდიოლოგია. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენ. [MFN: 81403]

25. სპორტსმენთა ანთროპომეტრული, ფიზიკური და ფუნქციური მახასიათებლები და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ამინომჟავებით გამდიდრებული ენერგეტიკული სასმელი "ივერიული-ფიტოს"-ს მოქმედების ფონზე / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, ნ. თოფურიძე, კ. ჩახუნაშვილი, ნ. ბადრიაშვილი, ზ. შაქარაშვილი, გ. ცხვედიაშვილი, ირ. კალანდია, ზ. ფხალაძე // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2011. – ISSN 1987-9857. – N5. – გვ. 24-32. – ბავშვთა კარდიოლოგია. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენ. [MFN: 81405]

26. იმუნური სტატუსი თიმომაგელის ფონზე განვითარებული ბრუნქოპნევმონიების დროს ბავშვებში / გ. ჩახუნაშვილი, მ. თოფურიძე, ნ. ბადრიაშვილი, ნ. ჯობავა, ნ. თოფურიძე // საქართველოს რესპირაციული ჟურნალი. – თბილისი, 2010. – ISSN 1512-2778. – ტ. 6. დამატება 1, საქ. რესპ. ასოც. II საერთ. კონგრესის აბსტრაქტები. – გვ. 16. – რეზიუმე ინგლ. ენ. [MFN: 108151]

27. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნაადრევ მორფოფუნქციურ (ადაპტაციურ, პათოლოგიურ) ცვლილებათა დროული გამოვლენა და საწვრთნო პროცესების თანამედროვე მართვა მოზარდ სპორტსმენებში (ფუნბურთელებში): (ლიტერატურის მიმოხილვა) / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი, ივ. დოლიძე, ზ. ფხალაძე, თ. გოგატიშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია / საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9857. – N6. – გვ. 15-20. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენ. – შრომაში ციტირებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა გვ. 18-19 [MFN: 116808]

28. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ფარული ვეგეტატიური დისფუნქციისა და სისხლძარღვოვანი ჰიპერტენზიული დროს სპორტსმენ ბავშვებსა და მოზარდებში (დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის საკითხები): (ლიტერატურის მიმოხილვა) / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი, ივ. დოლიძე, ზ. ფხალაძე, თ. გოგატიშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია / საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9857. – N6. – გვ. 20-24. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენა. – შრომაში ციტირებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა გვ. 22-24 [MFN: 116812]

29. თანამედროვე ბავშვთა კარდიოლოგიაში არი-

ათმიებისა და მიტრალური სარქველის პროლაფსის დიაგნოსტიკური ღირებულება ბავშვთა და მოზარდთა ასაკში / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, მ. შვანგირაძე, მ. ინასარიძე, ა. ბლიაძე, თ. გოგატიშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია / საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9857. – N6. – გვ. 25-27. – რეზ. ქართ. და ინგლ. ენა. – სამეცნიერო ლიტ. ნუსხა გვ. 26 [MFN: 116816]

30. კალათბურთელთა ფიზიკური და ფუნქციური მანევრებების შედარებითი ანალიზი "აპიკორი"-ს მოქმედების ფონზე / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, ნ. თოფურიძე, ნ. ბადრიაშვილი, ზ. შაქარაშვილი, კ. ჩახუნაშვილი // ბავშვთა კარდიოლოგია / საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9857. – N6. – გვ. 30-32. – რეზ. ქართ. და ინგლ. ენა. – ლიტ. გვ. 32 [MFN: 116833]

31. იმუნური პომეოსტაზი და მისი კორექცია აპიპულმონი მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს ბავშვებში / გ. ჩახუნაშვილი, ნ. თოფურიძე, ნ. ჯობავა, ნ. ბადრიაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, თ. ხოდელი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9865. – N14-9-8. – გვ. 27-29. – ორიგინალური სტატიები. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენ. – ლიტ. გვ. 28. – ცხრ. 1. – ცხრ. 2. – ცხრ. 3 [MFN: 116890]

32. "აპიპეპატის" ეფექტურობა ბრუნქოპნევმონიების კომპლექსურ მკურნალობაში / გ. ჩახუნაშვილი, ნ. თოფურიძე, ნ. ჯობავა, ნ. ბადრიაშვილი, კ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2012. – ISSN 1987-9865. – N14-9-8. – გვ. 30-32. – ორიგინალური სტატიები. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენ. – ლიტ. გვ. 31. – ცხრ. 1 [MFN: 116892]

33. ST სეგმენტისა და T კბილის ცვლილებანი ჯანმრთელ ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში / გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9857. – N7. – გვ. 11-18. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენაზე [MFN: 143888]

34. სპორტსმენთა ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასება აპი პულმონსა და აპიკორის ფონზე / დ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა, ნ. თოფურიძე, ნ. ბადრიაშვილი, ზ. შაქარაშვილი, ზ. ფხალაძე // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9857. – N7. – გვ. 19-22. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენაზე. – ლიტ. გვ. 22 [MFN: 143894]

35. EKG Parameters (ST and T wave) and capillaroscopic parameters during diabetes mellitus type i in children / დ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა // ბავშვთა კარდიოლოგია: საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის ჟურნალი. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9857. – N7. – გვ. 23-26. – რეზიუმე ინგლ. და ქართ. ენაზე [MFN: 143895]

36. ე. კ. გ. პარამეტრები (ST სეგმენტი და T კბილი) შაქრიანი დიაბეტის ტიპი I-სა, ზოგიერთი ანთებადი და სხვა არაანთებადი დაავადებების დროს ბავშვთა

